პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი პარასკევი 5 ივნისი № 131 (18073) ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში,
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში,
საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1981 წლის პირველი კვარტალის შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში 1981 წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით გამარჯვებულად ცნეს:

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით
№ 3 და № 14 ტრესტები, „მიწქვეშმშენმონტაჟი“, საწარმოო გაერთიანება „მშენდეტალი“.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით
№ 4 ტრესტი, № 7 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონა, № 9 ტრესტი.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით
საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეული“, თბილისის საშენ მასალათა კომბინატი, „საქმონტაჟსპეცრემონტის“ სამმართველო, დარკვეთის საშენ მასალათა საწარმოო გაერთიანება, ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთასამმართველო, თბილისის კერამიკის კომბინატი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონაცემო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების მთავარი სამმართველოს ხაზით
ტრესტი „საქელექტრომონტაჟი“, თბილისის სამშენებლო სამმართველო, „მონტაჟთერმოიზოლაცია“.

სხვა უწყებების ხაზით
ტრესტები „კავკასელექტროქიმშენი“, „საქჰიდროენერგომშენი“, „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველო.

აღინიშნა, რომ ობიექტების ამოქმედებისათვის არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ: **საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით** — №№ 2, 4, 6, 15 ტრესტები; **სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით** — №№ 5, 12, 14 ტრესტები. (საქინფორმი).

ერთიანი მისწრაფებით შევკავშირდეთ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ვეძებთ რეზერვებს

ვიზრუნოთ გულით, ინიციატივიანად, ფრთა შევახხეთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში დასმულ ამოცანებს — ასეთია დღეს საქართველოს მშრომელთა ფიქრი, გადაწყვეტილება, გულისთქმა!

მოგეხსენებათ, თბილისში გამართულ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ერთი მხრივ, უაღრესად დიდი შეფასება მისცა ქართველი ხალხის, რესპუბლიკის მშრომელთა გარჯასა და შემართებას და, ამასთანავე, ჩვენი ყურადღება გაამახვილა ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, გადასაჭრელ პრობლემებზე, მომავლის ამოცანებზე. ამიტომაც არის, რომ ეს უაღრესად ღრმაშინაარსიანი გამოსვლა ერთსულოვნად მოიწონეს, მომავლის სამოქმედო პროგრამად დაისახეს რესპუბლიკის მშრომელებმა და ამ დღეებში პრაქტიკული საქმეებითაც უპასუხებენ მას.

ჩვენი საწარმოს, ქუთაისის ბამბის საქსოვი საწარმოო გაერთიანების კოლექტივი, მისი პარტიული ორგანიზაცია ყოველთვის ცდილობდა და ახლა მით უმეტეს ცდილობს არ ჩამორჩეს დროს მოთხოვნებს, თაუსის წელილი შეეტანოს ჩვენი საერთო საქმის წარმატებებში, ეძებენ ახალ ეფექტიან გზებსა და საშალებებს. მათი უმრავლესობა ჩაბმულია წარმოების შიდა რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედებისათვის ბრძოლაში. ჩვენი საწარმოს კოლექტივმა კარგად იშრომა მეათე ხუთწლედში, მნიშვნელოვნად გაუფჯობესა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები — ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, გაიზარდა რენტაბელობა, ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი. მარტო ის რად ღირს, რომ წარმოების მოცულობა 50,4 პროცენტით გაიზარდა.

დიახ, მაჩვენებლები მართლაც არ არის ცუდი, მაგრამ ამ დღეებში კიდევ უფრო კარგად რომ ჩავუკვირდით ეკონომიკას, ძირითადი და დამხმარე შასალების მომპირნეობით ხარჯვის საკითხებს, გამოირკვა, რომ ამ მხრივ მაინცდამაინც კარგად როდი გვაქვს საქმე. ჯერ კიდევ ბევრი დანაკარგებია უგულისყურო და უსულგულო მუშაობის შედეგად, თანამიმდევრულად ვერ ვასრულებთ საწარმოო დავალებებს პროდუქციის ასორტიმენტის მიხედვით, კვლავინდებურად დამაკმაყოფილებელი არ არის საწარმოს მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე. ერთი სიტყვით, პრობლემები გვაქვს, მეთერთმეტე ხუთწლედში კი დიდი ამოცანებია დასახული და თუ ეს პრობლემები დადებითად არ გადაწყდა, წინ ვერ წავალთ.

და სწორედ მათი გადაჭრის მიზნით გაერთიანების მშრომელების დარაზმვაა ამჟამად ჩვენი პარტიული ორგანიზაციის უმთავრესი საზრუნავი.

ა. ჭაკაბა,
ქუთაისის ბამბის საქსოვი საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს პარტბიუროს მდივნის მოადგილე.

შთაგონებული შრომით

ოცი წლის ჭაბუკი დავუმეგობრდი ვაზს, მის ალერსში და მოვლა-პატრონობაში ოთხი ათეული წელიწადი გავლილ. ვაზმა შემაყვარა სიცოცხლეც, ცხოვრებაც — დამავაჟკაცა, დამაოჯახა, ვაზმა ააკიაფა ჩემს მკერდზე ოქროს ვარსკვლავი, მზეჩამდგარი მტევნების მაღლითა და ბარაქით ამივსო გული, სტუმრისა და მშრომელი კაცის სიყვარულს მაზიარა.

საბჭოთა საქართველოს 60 წლის თავის ზეიმზე ჩვენი დიდი სტუმარი სიტყვას რომ წარმოთქვამდა, მშრომელ კაცს გარჯას და თავდადებას რომ უქებდა, მისი სიკეთე აქ, ვაზის საუფლოშიც იღვრებოდა, ნათელს ჰფენდა ჩვენს ცხოვრებას, რწმენას გვმატებდა, რწმენას, რომელიც ყველაფერზე ძლიერია და არ ძალუძს არაფერს, მათ შორის უამინდობას, სტიქიას, წინ აღიდგეს მას.

აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ № 4 ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, არასოდეს უღალატია ამ რწმენისათვის. მეათე ხუთწლედში ამ რწმენით გავიმარჯვეთ. მარტო ხუთწლედის დამაგვირგვინებელ წელს ჰექტარზე საშუალოდ 113 ცენტნერი ყურძენი მოვიწიეთ 90 ცენტნერის ნაცვლად და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 74 ტონა ყურძენი ჩავაბარეთ.

ახლა კიდევ უფრო მეტი რწმენით ველოლიავებით ვაზს, იმ რწმენით, ახალ ენერგიას და ენთუზიაზმს რომ წარმოშობს.

დროული და მიზნობრივია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის კეთილ რჩევას ღრმა გააზრება, გაანალიზება და საქმით ხორცშესხმა სჭირდება.

ჩვენი ცხოვრების დღის წესრიგში პირველი რიგის ამოცანად ხომ მშრომელი კეთილდღეობისათვის ზრუნვაა დაყენებული. მინდა რამდენიმე წინადადება შემოგთავაზოთ მევენახეთა შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

ყველასათვის ცნობილია, რა რთულია მევენახის შრომა, სირთულეები ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია კლიმატური პირობებით. ეს განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატა მიმდინარე წელს, როცა გამუდმებულმა წვიმებმა განსაკუთრებული სიძნელეები შექმნა. ვენახები ახლა გადაუდებელ მწვანე ოპერაციებს და შეწამვლას საჭიროებს, მევენახე იძულებულია ეს სამუშაოები ყოველგვარ ამინდში შეასრულოს. საჭიროდ მიმაჩნია ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მევენახეთა სპეციფისაცმლით უზრუნველყოფის საკითხებსაც. ვენახებში მომუშავე დედებს და მომავალ დედებს, მეზვრესა და მექანიზატორს დიდად გაუუმჯობესებდა შრომის პირობებს წვიმაგაუმტარი ლაბადა და ფეხსაცმელი. ქიმიზაციის პირობებში ცუდი არ იქნებოდა, ელექტიკური, თხელი რეზინის ხელთათმანები, გონივრულად მოფიქრებული დოლბანდები (ბიბადეები).

კიდევ უფრო გაზრდიდა მევენახეთა შრომის ნაყოფიერებას მწვანე ოპერაციების და, საერთოდ კამპანიური სამუშაოების დროს მათი უზრუნველყოფა ერთჯერადი კვებით მაინც, როგორც ეს რთველის პერიოდში ხდება.

მევენახეობის შემდგომი განვითარების საქმეში კვლავ პრობლემად რჩება საყდენი მასალით მომარაგების საკითხი. აუცილებლად საჭიროა შემუშავდეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა პრაქტიკული განხორციელებითაც გაუმჯობესდება საყრდენი მასალის ხარისხი, გაიზრდება მისი რაოდენობაც.

დღეს ჩვენი კოლმეურნეობის მევენახეები, აგრეთვე სხვა დარგების მშრომელები იმ ერთიანი მისწრაფებით ირჯებიან, რომ ვამარავლოთ სოფლის ხვავი და ბარაქა, მაქსიმალური წვლილი შევიტანოთ ერთიანი სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად, ჩვენი პარტიის XXVI ყრილობამ, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა უპირველეს ამოცანად რომ დაგვისახეს.

ნ. ქევხიშვილი,
თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ მევენახე ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

მუშახელის შენარჩუნების მიზნით

იმ საკითხთა შორის, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა რომ გაამახვილა ჩვენი ყურადღება, არის საწარმოო და შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება. ალბათ, ჩვენი ცხოვრების ყოველ უბანზე არის იმგვარი რეზერვები, რომელთა ამოქმედება და საერთო საქმის სამსახურში ჩაყენება დიდ ეფექტს მოგვცემდა. საკუთარ მაგალითზე კონკრეტულად მოგახსენებთ: სამცხე-ჯავახეთიდან ყოველწლიურად ათასობით მუშა გადის რესპუბლიკის გარეთ სამუშაოს საძებნელად. ამის მიზეზია ის, რომ ჩვენი მაღალი მთის რაიონების სოფლის მოსახლეობას ძირითადად სეზონური სამუშაო აქვს. ზამთარში და გაზაფხულზე საქმე თითქმის აღარ არის, რაც რასაკვირველია ოჯახის ბიუჯეტზე უარყოფითად მოქმედებს. ამიტომ ისინი იძულებული ხდებიან სამუშაო სხვაგან ეძებონ.

პრობლემას, ჩემი აზრით, ასე მოეკლება: ახალციხის რაიონში არსებული სახერხი ქარხნების გაერთიანების ბაზაზე შეიძლება აიგოს საამქრო, რომელიც იმუშავებს მხოლოდ ზამთრობით და გამოუშვებს ძვირფას საშენ მასალას — დაპრესილი ნახერხის დიტს. ზაფხულობით, როგორც ყოველთვის, მუშახელი სეზონურ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე დასაქმდება.

მოსახლეობის დროებითი მიგრაციის თავიდან აცილების და სოფლად მუშახელის შენარჩუნების მიზნით ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის და მათ შესახებ სამინისტროების ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. მაგალითად, ადიგენის რაიონში შეიძლება აშენდეს აგურის და კირის ქარხნები, ახალციხეში — ასფალტის და მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნები, აგრეთვე სხვადასხვაგვარი მოსაპირკეთებელი ქვის კარიერები.

ი. კვირიკაშვილი,
საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის რწმუნებული ახალციხის ზონაში, სკკპ წევრი 1939 წლიდან. ომისა და შრომის ვეტერანი.

საგადო ულევი როდია

რესპუბლიკის საიუბილეო ზეიმზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამოცანად დაგვისახა მანგანუმის მოპოვების გადიდება. ამ საკითხს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. საბადო ულევი როდია, მოთხოვნა კი ამ დეფიციტურ ნედლეულზე სულ უფრო იზრდება.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ქალინინის სახელობის მაღაროში. დასამალი არ არის, რომ ჩვენი მიწისქვეშა საწარმოო უბნები ძირითადად ძველად გამომუშავებულ ვენებშია განლაგებული და თანდათანობით მცირდება ძვირფასი პიროქსიდული მანგნის მოპოვება.

საწარმოო-სამეურნეო ხელმძღვანელობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ ერთობლივად შეიმუშავეთ ახალი სიმძლავრეების ამოქმედების კონკრეტული ღონისძიებები. პირველი რიგის ამოცანად დავისახეთ კარბონატული მადნების მოპოვების გადიდება, რადგან, ამ სახის კონცენტრატს ახლა საკმაოდ ბევრი მომხმარებელი ჰყავს. მიწისქვეშა უბნებში საამისოდ მოვამზადეთ დიდი საექსპლოატაციო ველები, ყოველდღიურად შეგვიძლია 1.000 ტონა მადნის მოპოვება, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს და თვის ბოლოს დამთავრდება ახალი საამქროს დამონტაჟება მამდიდრებელ ფაბრიკაში, სადაც კარბონატული მადნებისაგან სუსპენზიების გამოყენებით მიიღება სასაქონლო კონცენტრატი. გარდა ამისა, საწარმოს საშუალება აქვს ღია კარიერებიდან დღიურად 200 ტონით გაზარდოს მადნის მოპოვება, ოღონდ ამისათვის საჭიროა უზრუნველყოფილი ვიყოთ საჭირო ექსკავატორებით და ბულდოზერებით.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ საიუბილეო ზეიმზე გამოთქმული ბრძნული რჩევა-დარიგებები ჯერ კომუნისტმა, რიგითმა მაღაროელმა თავდადებული შრომის მოწოდებად აღიქვა. სამეურნეო მართვის სრულყოფისათვის შეიმუშავეთ პერსპექტიული გეგმა და შედეგები გვესახლება—შრომის ნაყოფიერება გაიზარდა, 45 ათასი მანეთი დაეზოგეთ, 5 წლის დავალებას ერთი კვირით ადრე გავუანდგდით.

მაღაროში, უშუალოდ წარმოების სფეროში დასაქმებულია 84 კომუნისტი, რომელთაგან გვირაბგამყვანები ივანე გაფრინდაშვილი, ალექსანდრე გელიაშვილი, ელგუჯა ბუზალაძე, ექსკავატორის მექანიკოები სიმონ და ვაჟა გაფრინდაშვილები ცვლაში ერთნახევარ ნორმას ასრულებენ.

ი. ფეიქლაშვილი,
ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის პარტბიუროს მდივანი.

პროდუქცია რომ მაღალ-ხარისხოვანი იყოს

ჩვენი კოლმეურნეობის მეჩაიეებმა, რომელთა უმეტესობა კომუნისტები არიან, მეათე ხუთწლედში თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვეს. მათ გეგმით გათვალისწინებული 3500 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 5741 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ხუთწლედის დაგალება 151,9 პროცენტით შესრულდა. თვითონ მე ხუთწლედი 160,3 პროცენტით შევასრულე.

მაგრამ, როგორც ვამბობთ ხოლმე, მიღწეული მიჯნა არ არის, მით უმეტეს, თბილისში გამართულ საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული ღრმაშინაარსიანი სიტყვის შემდეგ, რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობა, და რომლიდანაც გამომდინარე ამოცანების წარმატებით შესრულების გზებსა და საშუალებებზე მალე იმსჯელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

მე, ისევე როგორც ჩემს კოლეგებს, გულში ჩამრჩა ლ. ი. ბრეჟნევის გფრთხილება ჩაის ხარისხის გაუმჯობესების თაობაზე. ეს დიდმნიშვნელოვანი პრობლემა მე ყოველთვის მაღელვებდა. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ჩაის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა ყოველთვის მარტოოდენ ჩვენზე, მეჩაიეებზე როდია დამოკიდებული. აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან ჩაის მრეწველობის მუშაკებმაც, მშენებლებმა და რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა.

განა შესაწყნარებელია ის მდგომარეობა, რომ ქალაქის ზონის ტერიტორიაზე მეეთხეები საუკუნის განმავლობაში ერთი ახალი ჩაის ფაბრიკაც არ აშენებულა?

არადა, ფაბრიკები აუცილებლად გეჭირდება, რადგან არსებული ორი ფაბრიკა კარგა ხანია ვერ აუფლის შემოსული ფოთლის გადამუშავებას. ძალიან ხშირად მათი ერთობ გადატვირთვის გამო მეჩაიეები ვაყოფენებთ ჩაის ფოთლის კრეფის პროცესს. მაგალითად, შარშან ზაფხულში 10 დღის უქმად ვიყავით, რითაც სულ ცოტა 150 ტონა ნედლეული დავკარგეთ. ეს კიდევ არაფერი. მთავარი ის არის, რომ ასეთმა იძულებითმა ღონისძიებამ გააუარესა ჩაის ფოთლის ხარისხი.

დიდი ხანია ტყიბულში მომწიფდა მესამე ჩაის ფაბრიკის მშენებლობის საკითხი, მაგრამ იგი ჯერ ჯერობით კაბინეტებში ლაპარაკს არ გასცილებია. ჩემი, როგორც რიგითი მეჩაიე-კომუნისტის თხოვნა ის არის, რომ რაც შეიძლება დაჩქარდეს ახალი ფაბრიკისათვის საფუძვლის ჩაყრა. და საერთოდ, კარგი იქნება, თუ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ყურადღებას დაუთმობს ჩაის ფაბრიკების მშენებლობის საკითხს.

რ. გვენეტაძე,
ტყიბულის ზონის საწარის კოლმეურნეობის მეჩაიეთა რგოლის ხელმძღვანელი, სკკპ წევრი.

სტიმულირება მეტ შედეგს გამოიღებს

რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამოცანად დაგვისახა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ოჯახური ნივთების, ავეჯის, ტელევიზორების, ელექტროყინულიანების, ფოტოაპარატების, ელექტროფონების, ტელეფონების, ელექტრული ნაკეთობების, ელექტრული ნათურების, ელექტროენერგეტიკული ტექნიკის, ელექტრული ინსტრუმენტ

პარტია საბჭოთა ხალხის ავანგარდია

(დასასრული)

იმაზე, თუ როგორ ვიმუშავებთ, ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება. ამიტომ ქვეყნის წინაშე, ჩვენი რესპუბლიკის წინაშე, მისი თითოეული მშრომელის წინაშე დასახული ამოცანები დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგებია. ამ ამოცანებს ერთხელ კიდევ გაესცა ხაზი საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის 60 წლის თავის აღსანიშნავ საიუბილეო ზეიმის დროს.

ამ დღეებში ჩვენ განვიცდიდით თავიანთ საერთო დღესასწაულზე შეკრებილი ერთსულოვანი, შეკავშირებული, ბედნიერი ოჯახის წევრთა ამაღლებულ გრძნობებს. ჩვენს დღესასწაულს განსაკუთრებული აზრი, განსაკუთრებული ზეიმურობა მიანიჭა ამწანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მონაწილეობამ. ყველაზე ძვირფასი, ყველაზე სასურველი სტუმრის ჩამოსვლამ ერთხელ კიდევ ნათლად დაადასტურა, თუ რა შეუნელებელი ყურადღებით ეკიდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროო, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ჩვენს რესპუბლიკას, მის პარტიულ ორგანიზაციას. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის მკაფიო და გულში ჩამწვდომმა, ღრმამშინაარსიანმა სიტყვამ, რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბრის დროს გამოთქმულმა მისმა რჩევა-დარიგებებმა, მითითებებმა და შენიშვნებმა ყველანი შეგვაჯარაღა მკაფიო და ზუსტი მოქმედების სტრატეგიული პროგრამით, მძლავრი სტიმული გახდა სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის. ისინი იმის თვალსაჩინო მაგალითი იყო, თუ როგორ უნდა აღვნიშნოთ ლენინურად, საქმიანად ჩვენი კომუნისტური დღესასწაულები, როგორ უნდა დავრაზმოთ ფართო მასები უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის შემოქმედებითმა შრომამ, საქართველოს კომპარტიის სამეანობამ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის დაჩქარებისათვის მაღალი შეფასება დაიმსახურა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXVI ყრილობისადმი. ღირსეული შრომითი გამარჯვებებით შეამკო ჩვენმა ხალხმა მშობლიური რესპუბლიკის იუბილეც, რომელიც გადაიქცა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, ინტერნაციონალური ერთიანობის მკაფიო დღესასწაულად. ეს ერთსულოვნად აღინიშნეს ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოსულმა საიუბილეო ზეიმის მონაწილეებმა.

იმ სადღესასწაულო დღეებში განსაკუთრებული მღელვარებითა და სიღრმით ვიგრძენით მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების მთელი ცხოველმყოფელი ძალა, ჩვენი ლენინური პარტიის ტიტანური საქმიანობის სოციალისტური დემოკრატიის მნიშვნელობა.

იგი გამოვლინდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მართლაც და მამობრივი ზრუნვით, რომელიც ესოდენ მკაფიოდ და თვალნათლივ ცხადყო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებმა თბილისში, კერძოდ, არავინ დაუტოვებია გულგრილი ლეონიდ ილიას ძის სიტყვებს იმის შესახებ, რომ დადგა დრო საფუძვლიანად მოვკიდოთ ხელი ავკასიონის საიუბილეინო რკინიგზის შენებლობის საკითხს. აქედან გამომდინარე, თბილისელი ელმავალმშენებლების წინაშე დგება სერიოზული ამოცანები, მაგალითად ისეთი, როგორიც ახალი, უფრო მძლავრი, 12-ღერძიანი ლოკომოტივების წარმოებაა. საამისო ეკონომიკური და სოციალური პირობები კი შეიქმნება. და აქ, ისევე როგორც ყველა საქმეში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კონტროლი იმისადმი, რომ სათანადოდ სრულდებოდეს ყველა მიღებული გადაწყვეტილება. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ამაზე, გადაწყვეტილების ავტორიტეტის მოფრთხილების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბრისას. აღინიშნა რა რესპუბლიკის მიერ მოპოვებული წარმატებანი, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა: ისინი შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ დაძლეულ იქნა წარსულში არსებული პარტიის საკადრო პოლიტიკის, პარტიული ცხოვრების ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანლობის პრინციპების დარღვევები. აი ამიტომ, აღინიშნა მეცადინეობაზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აქვლავე თანამიმდევრულად აამაღლებს მომთხოვნელობას ხელმძღვანელი კადრებისადმი, განამტკიცებს პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, განაგრძობს უკომპრომისო ბრძოლას ყოველგვარ ნეგატიურ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

ამ საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. მის კონკრეტულობაზე, საქმიან მიდგომაზე, შემტევობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული უმთავრესი სოციალური, პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, დღეინდადგ უნდა ვეძებოთ და ვნერგოთ შრომითი, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები.

ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანები რთული და მრავალმხრივია, ხაზგასმით აღინიშნა დასასრული ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ. მათი შესრულება რესპუბლიკის თითოეული კომუნისტის, თითოეული მშრომელის ღირსების საქმეა. მათთვის ორიენტირი იქნება ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ ჩვენს საიუბილეო ზეიმზე გამოთქმული ყეთილი მოწოდება — ვიმოქმედოთ უფრო გაბედულად, ვიმუშაოთ უფრო შეუპოვრად, ყველაც ავამაღლოთ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი. (საქინფორმი).

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ ᲡᲐᲥᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘ

ᲓᲘᲓᲘ პოლიტიკური აღმავლობით ჩაევლო საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის იუბილეკ, ამ ბრწყინვალე და დაუვიწყარმა დღესასწაულმა, ასე სრულად რომ გამოხატა მთელი ჩვენი ხალხის" გულისთქმა, ყოველ ჩვენგანს განუზომელი სიხარული მიანიჭა და ამასთან ახალი პასუხსაგები ამოცანებიც დააკისრა. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა „ერთიანი მისწრაფებით შეკავშირდეთ", როგორც ეს ხაზგასმულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის 29 მაისის ცნობილ მიმართვაში რესპუბლიკის ყველა კომუნისტისა და მშრომელისადმი.

იმ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაუსახა რესპუბლიკას, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა მშრომელმა, პარტიულმა და უპარტიომ, მთელმა ახალგაზრდობამ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ, ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ, აგრეთვე როგორც ზოგადაგანმანათლებელმა, ისე უმაღლესმა, საშუალო სპეციალურმა და პროფესიულ-ტექნიკურმა სკოლამ. ჩვენ გვინდა სწორედ ამ თვალსაზრისით ვთქვათ რამდენიმე სიტყვა პროფესიულ-ტექნიკური სკოლის აწმყოსა და მომავალზე, მის დიდ სახელმწიფოებრივ დანიშნულებაზე.

საქართველოში პროფესიულ-ტექნიკური განათლების ისტორია შორეული საუკუნეებიდან იწყება. შეუძლებელი იყო ქართველ ხალხს შეექმნა მშენებლობის, ოქრომჭედლობის, კერამიკის, ჩაცმა-დახურვის, ქსოვილების მაღალი კულტურა, თუ არ ექნებოდა პროფესიული განათლების კერები. მაგრამ ამ სახეობათა სწავლება საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ხასიათს მხოლოდ გასული საუკუნის ბოლო ათეულ წლებში იძენს, როცა იქმნება პირველი სამეურნეო, სარკინიგზო, ტექნიკური სკოლები.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამ სრულიად ახალი ძალა მიანიჭა სწავლების ამ უაღრესად საჭირო სისტემას. 1919 წელს საბჭოთა რუსეთში გამოქვეყნდა ლენინური დეკრეტი „პროფესიულ-ტექნიკური დონის ამაღლების შესახებ".

დიდი ლენინი ამობდა: „რესპუბლიკის მეტისმეტად მძიმე სამეურნეო მდგომარეობა ამჟამად დაუყოვნებლივ და უთუოდ მოითხოვს არასაშუალო სკოლების პროფტექსკოლებთან შეერთებას, რომელიც პედაგოგთა მითითებებითა და გადაწყვეტილებებით უნდა შეივსოს". და შეივსო კიდეც, მაგრამ საჭირო გახდა ორი ათეული წელი იმისათვის, რომ პროფესიულ-ტექნიკური განათლებას, როგორც თავისებურად სინთეზურს, ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად მოეპოვებინა მტკიცე საფუძველი და მოქნილ სახელმწიფოებრივ სისტემად გადაქცეულიყო.

ბევრ ჩვენგანს კარგად ახსოვს დიდი სამამული ომის დაწყების წინა წელი —1940, როცა შეიქმნა სახელმწიფო შრომითი რეზერვების ქსელი, საფუძველი რომ დაუდო იმას, რაც ახლა პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთელ სისტემას წარმოადგენს.

ომის დამთავრების შემდეგ, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოშიც პროფტექნიკური განათლების დიდი აღმავლობა იწყება; გაიხსნა 58 ახალი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, მომზადდა 135 ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ხოლო მოსწავლეთა კონტინგენტმა 62 ათასს მიაღწია. დღეს საქართველოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში 220-ზე მეტი სპეციალობა ისწავლება, მზადდება მაღალკვალიფიციური კადრები სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგისათვის. საამაყოა, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ, პირველმა საბჭოთა კავშირში, შეძლო ყველა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთათვის მიეცა სრული საშუალო განათლება.

მეტად სასიხარულოა, რომ საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სკოლები ბოლო წლებში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებისათვის მესაზიმედ დაჯილდოვდნენ საკავშირო გადამავალი წითელი დროშით. გვახარებს, რომ ამ სისტემამ მოგვცა 19 სოციალისტური შრომის გმირი, მრავალი სახელმწიფო და ლენინური პრემიის ლაურეატი, თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ორდენოსანი და შრომის ნოვატორი.

დღევანდელი ჩვენი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი საკავშირო უზრუნველყოფს სწავლების მაღალ დონეს, თავის კონტინგენტს აძლევს სრულ საშუალო განათლებას სამ წლის მანძილზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რვა კლასის შემდეგ, ხოლო ერთი წელი ან წელიწად-ნახევარი საჭირო სპეციალობის მისაღებად, რაც სასწავლებელი კომპლექტდება საშუალო სოციალმავრცელებულთაგან. სწავლასა, შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში განსაკუთრებით დაწინაურებულ მოსწავლეებს ეძლევათ წარჩინების დიპლომი კურსდამთავრებულთა ათი პროცენტის ფარგლებში, რაც მათ უფლებას აძლევს დაუყოვნებლივ შევიდნენ უმაღლეს სასწავლებელში და ისარგებლონ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ოქროს მედალისანთა უპირატესობით.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას დღეს არა მარტო კარგი მატერიალური ბაზა აქვს, რომელიც სულ უფრო მტკიცდება და ფართოვდება, არამედ ჰყავს მასწავლებელთა ოსტატთა მაღალკვალიფიციური კადრები. ასე რომ არ იყოს, მაშინ ვერ დაიმსახურებდა ამდენ ჯილდოს მათი აღსაზრდელების მიერ დამზადებული ექსპონატები საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე პრაღაში, მონრეალში, იზმირში, ჰელსინკში, სოფიაში, პარიზსა და კაიროში. რიცხვი ამ ჯილდოებისა, მართლაც, საამაყოა: ოქროს— 20, ვერცხლის—60, ბრინჯაოსი —145 მედალი, პირველი, მეორე, მესამე ხარისხის 45 დიპლომი, აგრეთვე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ნორჩი მონაწილის" 175 მედალი.

როგორც ვხედავთ, ვისაც სწავლა და შრომა უყვარს, მისთვის ყოველმხრივ პერსპექტიულია პროფესიულ-ტექნიკურ სკოლაში ეუფლებოდეს ცოდნასა და სპეციალობას. ჩვენ პირადად ვნახეთ არაერთი ასეთი სკოლა, მოსწავლეთა ნამუშევრები, გავეცანით სწავლების პროცესს, სახელოსნოებს, შრომის პირობებს, კაბინეტ-ლაბორატორიებს, თვალსაჩინოების საშუალებებს; ვნახეთ მათი სადემონსტრაციო აპარატები, კინო, დიაპროექტორები და კმაყოფილი დავრჩით, რომ ესოდენ ბევრი რამ გაკეთებულა უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე. ვიცით, რომ ჯერჯერობით, ალბათ, ყველგან ასე არ არის, მაგრამ, გვწამს, მალე ყველგან ასე იქნება, თუ მუშაობას გავაძლიერებთ, როგორც ამას ჩვენგან მოითხოვენ. საზრუნავი და საკეთებელი კი კვლავაც ბევრია. პროფტექნიკური განათლების წინაშე მდგომი დიდი ამოცანების წარმატებით განხორციელებაში თავისი წვლილი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამაც უნდა შეიტანოს.

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1980 წლის 4 მარტს მიიღო სპეციალური დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარებისა და სპეციალისტების მომზადების ხარისხის ამაღლების შესახებ", რომლის პრაქტიკული შესრულებისათვის ბევრი რამ გაკეთდა. აკადემიის პრეზიდიუმმა ამ მიმართულებით გაკეთებული მუშაობა გასწია. საშუალო და უმაღლესი სკოლის კომისია, რომელიც მასთან 1973 წლიდან არსებობს (დღემდე მისი უცვლელი თავმჯდომარეა აკადემიკოსი გიორგი ჭოღოშვილი) პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით ახორციელებს მნიშვნელოვან პრაქტიკულ ღონისძიებებს. იგი არ კმაყოფილდება მარტოოდენ სწავლების ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესების პრობლემების შესწავლით, მატერიალურ დახმარებასაც უწევს სკოლებს, აწყობს თათბირებს, პრეზიდიუმის წევრთა შეხვედრებს სათანადო უწყებების ხელმძღვანელებთან, ავთორებს აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების შეფობას ყველა ტიპის სკოლებისადმი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის 1981 წლის 7 მაისის ერთობლივ დადგენილებაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული უახლოესი დროისათვის გადასაწყვეტი ამოცანები. აკადემიის სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს ეკისრებათ გაფართოონ და ქმედითი გახადონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის საშეფო დახმარება; განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოსწავლეთა მიერ სამუშაო დროის სრულად, ნაყოფიერად გამოყენებას, ახალი ტექნიკური საშუალებებითა და იარაღებით სარგებლობის შესწავლას.

დადგენილება ავალებს აკადემიის საშუალო და უმაღლესი სკოლების კომისიას, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლებისა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად დაამუშაოს აკადემიის სისტემისათვის კადრებზე მოთხოვნის გეგმა. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ჩაბმა საექსპერიმენტო, საკონსტრუქტორო, საკონსულტაციო მუშაობაში, მოწყობილობა-დანადგარების მომსახურებაში, მეორე სპეციალობის სახით პოლიგრაფიულ სასწავლებელში არაბულ ენაზე ასოთამწყობების მომზადება, არქეოლოგიურ ექსპედიციებში, კულტურის ძეგლებისა და არქეოლოგიური მასალების სარესტავრაციო სამუშაოებში მონაწილობა და სხვ.

ცალკე, სპეციალური დავალებები მიეცათ ინსტიტუტებს. მაგალითად, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შეკვეთით 1981-1982 წლებში უნდა დაამუშაოს ახალგაზრდობის სოციალური და პროფესიული ორიენტაციის საკითხები, ხოლო მანქანათა მექანიკის ინსტიტუტმა საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტთან ერთად 1981-1982 წლებში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებთან თანამშრომლობით უნდა განაგრძოს მოზარდის ორგანიზმის განვითარებაზე ვიბრაციისა და ხმაურის არასასურველი გავლენის თავიდან აცილების საკითხების დამუშავება.

როგორც ვხედავთ, სამუშაო ბევრია, თანაც ძალიან მნიშვნელოვანი, მოსაგვარებელია აგრეთვე სხვა არაერთი საკითხიც.

გარდა იმისა, რაც ზემოთ ითქვა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ზემოხსენებულ ერთობლივ დადგენილებაში, რომლის შესრულებაც უეჭველად სასურველ ნაყოფს გამოიღებს, აღნიშნულია, რომ უკანასკნელ დროს აკადემიის ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი მეცნიერულ-პედაგოგიური მუშაობა გასწიეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საინჟინრო-პედაგოგიური კადრების მომზადების რაოდენობრივ-ხარისხობრივი გაუმჯობესების, სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის მიზნით. ამას მოწმობს, მაგალითად, ფიზიკის, კიბერნეტიკის, მართვის სისტემების და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობა. მათ ექსპერიმენტულ ბაზებში სამუშაოდ ჩაბმულია პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სხვადასხვა პროფესიის მოსწავლეები. ისინი პარალელურად მონაწილეობენ არქეოლოგიურ გათხრებსა და მატერიალური კულტურის ძეგლების აღდგენის სამუშაოებში. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ვანის № 68 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები, არანაკლებ გამოჩინეს თავი თბილისის № 18 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის აღსაზრდელებმა შიო-მღვიმის მონასტრის ისტორიული ძეგლის აღდგენით საშუამავლის შესრულებაში.

ყოველივე ამას, სრულიად უდავოა გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენი წინსვლისათვის.

ახლა, როცა საქართველოს რესპუბლიკა დაძაბული შრომით ცხოვრობს, რათა წარმატებით შეასრულოს მეთერთმეტე ხუთწლედი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური სპეციალისტებისა და მუშათა კლასის ღირსეული შევსების მომზადებას.

ამიტომ სავსებით კანონზომიერია, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს ამასწინანდელ სესიაზე ქალაქ ტაშკენტში იყო მსჯელობა პროფესიულ-ტექნიკური განათლების შემდგომი გაფართოება-განვითარების საკითხებზე. ასეთი სჯა-ბაასი გაიმართა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზეც. ახლა ისეთი დიდი ყურადღება ექცევა პროფესიულ-ტექნიკური განათლების პრობლემებს რომ ჩვენი ვალია, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პარალელურად, ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ხსენებული ტიპის სკოლების გამართულ მუშაობას. ამ მიზნით იყო შთაგონებული ჩვენი აკადემიის პრეზიდიუმის წევრთა შეხვედრა საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკებთან. სკოლებმა, სადაც პრეზიდიუმის წევრები იყვნენ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ ვნახეთ საუკეთესოს სასწავლებლები და ოდნავაც არ გვეეჭვება, რომ ყველა ასეთი გახდება, ვინაიდან როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე, ისე საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე დაისახა პროფესიულ-ტექნიკური განათლების შემდგომი სრულყოფის კონკრეტული ამოცანები და ისინი უკვე წარმატებით სრულდება.

უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-პედაგოგიური საბჭო, რომელიც 24 გამოჩენილ მეცნიერს აერთიანებს. მისი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ნაკლოვანებები ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია. მეტი ინტენსიურობით უნდა ვაფართოებდეთ და განვამტკიცებდეთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მეტ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ მასწავლებელთა და ოსტატთა პედაგოგიურ დახელოვნებას, კომუნისტური აღზრდის მთელი კომპლექსის ამოქმედებას.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სკოლას განვითარების ნამდვილად ნათელი პერსპექტივები დაესახა.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ განაცხადა: „ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას დიდი მომავალი აქვს, ამ მომავალს დღესვე უნდა ჩავუყაროთ მკვიდრი საძირკველი".

პროფესიულ-ტექნიკური სკოლა ამჟამად ძლიერი, მოკმედი, ახალგაზრდა კვალიფიციურ სპეციალისტთა და მუშათა კლასის ღირსეული შევსების აღზრდის დიდი სკოლაა, რომელსაც ჭეშმარიტად რომ უფრო დიდი მომავალი აქვს.

ვიზრუნოთ ამ დიდი მომავლისათვის!

ე. ხარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

გ. ჯიბლაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

პროფტექსასწავლებელი: დღევანდელობა და პერსპექტივა

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ № 24 ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ მეთერმეტე კლასის „ა" კლასმა გადაწყვიტა სწავლა განაგრძოს და ავტომშენებლის სპეციალობებს დაეუფლოს № 112 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც კადრებს უმზადებს ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან საავტომობილო ქარხანას.

21 მოსწავლე აირჩევს სასურველ პროფესიას: გახდება ხარატი, ზეინკალი, მღარავი, ჩადგება სახელოვანი ᲗᲣᲨᲐᲗᲐ კლასის რიგებში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲗᲖᲔ: ქუთაისის № 24 საშუალო სკოლის მერვეკლასელები თავიანთი კლასის ხელმძღვანელთან თემურ ნემსიწვერიძესთან ერთად.

Ო. ᲑᲔᲠᲘᲩᲘᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲮᲐᲜᲐ

ᲛᲐᲠᲚᲔᲜ ᲙᲝᲠᲐᲚᲝᲕᲘ

ᲬᲘᲜᲐᲗ „სოფლტექნიკა" თავის უფროსობას ემორჩილებოდა თბილისში. „სოფლტექნიკის" ორგანიზაციებს პრემიები რეგულარულად მისდიოდათ, თუნდაც კოლმეურნეობებს მთლად ჩაშლოდათ საქმე.

საბჭოთა მეურნეობები სხვა უწყებებს ეჩვიდმეტბარეობდნენ, წყალთა მეურნეობა — სხვას; მათაც შეეძლოთ თავიანთი პრემიების მიღება, როცა კოლმეურნეობა საქმეები ცუდად მიდიოდა. რაიონული მეურნეობის ყველა დარგი ეჩვიდმეტბარეობდა რესპუბლიკურ ტრესტს, რომლებიც ზემოდან გეგმებს გამოგზავნისას ზმირად არც კი ითვალისწინებდნენ ადგილობრივი პირობებს. ორ ძროხას შეა ბავშვს გაიჩყლიტაო. გაიჩყლიტებოდა კი არა, სულ მთლად დაიხრჩობოდა, მაგრამ თითქმის უსუსური სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის რაიონული გაერთიანება. გაერთიანება იშვა 1974 წლის ოქტომბერში და მისი უფლებები და რეალური შესაძლებლობანი შემდგომში გაფართოდა.

რა არის ცვლილებათა არსი?

შეიძლება ითქვას, რომ რაიონი მობილურ რაზმად გადაიქცა, რადგან მის ხელმძღვანელობას უფლება მიეცა უფრო ხშირად მოსწყვეტოდა ქაოალდებს, უფრო ზუსტად დაეგეგმა. უფრო თამამად დაერაზმა ადამიანთა რესურსები, ტექნიკა, საშუალებანი სასოფლო-სამეურნეო ფრონტის ნებისმიერ უბანზე.

ჩვენი აზრით, ახალი სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი პრინციპი ის არის, რომ მისი თითოეული დიდი თუ პატარა ნაწილი ფორმალურად კი არ ექვემდებარებოდეს მთლიანს, არამედ საერთო წარმატებისათვის იღვწოდეს, თანაც აუცილებლად საბოლოო შედეგისათვის, მხოლოდ მთელი სტრუქტურის საქმიანობის რეალურ შედეგებზე უნდა იყოს დამოკიდებული ამ ნაწილების საკუთარი წარმატება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მექანიკოსი, ისევე, როგორც ტრაქტორისტი, ელექტროშემდუღებელი, გამწყობი, რომელიც ტრაქტორს არეშრატებს, ხელფასს ფულისა და მარცვლეულის სახით იმ ჭანჭიკების რაოდენობის მიხედვით კი არ უნდა იღებდეს, რომლებსაც ჩახრახნის და ამოხრახნის, არამედ ბეღლეში შეტანილი სიმინდის რაოდენობისა და ხარისხისათვის. აბაშის აგრონომრეწველო სისტემის ყველა მონაწილეს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება აკავშირებს პასუხისმგებლობა თავისი სამუშაოსათვის, რომელიც ქეთილსინდისიერი შესრულებით შენს გარდა დაინტერესებულია შენი მეზობელი, უფროსი, ხელქვეითი. ასეთ ვითარებაში მარცხის ერთმანეთისათვის გადაბრალება მართლაც ყოვლად ვარ აზრს ეარგავს. როგორც კი რომელიმე დაუდეგარი ელემენტი რამეს „მიაფუჩეჩებს" და „მიახლტურებს", იგი მატერიალურად ისჯება სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისათვის. ამიტომ პარტნიორები ზუსტად ეკავენ თავიანთ სამეურნეო ანგარიშიან ურთიერთობას, ისინი ხომ დატვირთული ურმის ერთ ღერძში არიან შებმული.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ

ᲬᲘᲜᲐᲗ „სოფლტექნიკა" თავის უფროსობას ემორჩილებოდა თბილისში. „სოფლტექნიკის" ორგანიზაციებს პრემიები რეგულარულად მისდიოდათ, თუნდაც კოლმეურნეობებს მთლად ჩაშლოდათ საქმე.

საბჭოთა მეურნეობები სხვა უწყებებს ეჩვიდმეტბარეობდნენ, წყალთა მეურნეობა — სხვას; მათაც შეეძლოთ თავიანთი პრემიების მიღება, როცა კოლმეურნეობა საქმეები ცუდად მიდიოდა. რაიონული მეურნეობის ყველა დარგი ეჩვიდმეტბარეობდა რესპუბლიკურ ტრესტს, რომლებიც ზემოდან გეგმებს გამოგზავნისას ზმირად არც კი ითვალისწინებდნენ ადგილობრივი პირობებს. ორ ძროხას შეა ბავშვს გაიჩყლიტაო. გაიჩყლიტებოდა კი არა, სულ მთლად დაიხრჩობოდა, მაგრამ თითქმის უსუსური სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის რაიონული გაერთიანება. გაერთიანება იშვა 1974 წლის ოქტომბერში და მისი უფლებები და რეალური შესაძლებლობანი შემდგომში გაფართოდა.

რა არის ცვლილებათა არსი?

შეიძლება ითქვას, რომ რაიონი მობილურ რაზმად გადაიქცა, რადგან მის ხელმძღვანელობას უფლება მიეცა უფრო ხშირად მორებს გაბრძნილი მკითხველი. ახლა უკვე მოკიალებული გზაა, მიდი, მიუშვიო.

ნურას უკაცრავად. კომპლექსურ მექანიზაციას ხელს შეუშლიდა წინათ ჩამოყალიბებული რაიონული სტრუქტურა. ტექნიკური და საორგანიზაციო პრობლემები ისე გადაიხლართა ერთმანეთში, რომ გორდიას კვანძი გასაჩეხი გახდა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ

ᲬᲘᲜᲐᲗ „სოფლტექნიკა" თავის უფროსობას ემორჩილებოდა თბილისში. „სოფლტექნიკის" ორგანიზაციებს პრემიები რეგულარულად მისდიოდათ, თუნდაც კოლმეურნეობებს მთლად ჩაშლოდათ საქმე.

საბჭოთა მეურნეობები სხვა უწყებებს ეჩვიდმეტბარეობდნენ, წყალთა მეურნეობა — სხვას; მათაც შეეძლოთ თავიანთი პრემიების მიღება, როცა კოლმეურნეობა საქმეები ცუდად მიდიოდა. რაიონული მეურნეობის ყველა დარგი ეჩვიდმეტბარეობდა რესპუბლიკურ ტრესტს, რომლებიც ზემოდან გეგმებს გამოგზავნისას ზმირად არც კი ითვალისწინებდნენ ადგილობრივი პირობებს. ორ ძროხას შეა ბავშვს გაიჩყლიტაო. გაიჩყლიტებოდა კი არა, სულ მთლად დაიხრჩობოდა, მაგრამ თითქმის უსუსური სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის რაიონული გაერთიანება. გაერთიანება იშვა 1974 წლის ოქტომბერში და მისი უფლებები და რეალური შესაძლებლობანი შემდგომში გაფართოდა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ

ᲬᲘᲜᲐᲗ „სოფლტექნიკა" თავის უფროსობას ემორჩილებოდა თბილისში. „სოფლტექნიკის" ორგანიზაციებს პრემიები რეგულარულად მისდიოდათ, თუნდაც კოლმეურნეობებს მთლად ჩაშლოდათ საქმე.

საბჭოთა მეურნეობები სხვა უწყებებს ეჩვიდმეტბარეობდნენ, წყალთა მეურნეობა — სხვას; მათაც შეეძლოთ თავიანთი პრემიების მიღება, როცა კოლმეურნეობა საქმეები ცუდად მიდიოდა. რაიონული მეურნეობის ყველა დარგი ეჩვიდმეტბარეობდა რესპუბლიკურ ტრესტს, რომლებიც ზემოდან გეგმებს გამოგზავნისას ზმირად არც კი ითვალისწინებდნენ ადგილობრივი პირობებს. ორ ძროხას შეა ბავშვს გაიჩყლიტაო. გაიჩყლიტებოდა

...ცოცხლის ...ეანზე

...მეცნიერულ-ტექნიკური პრო...ის თანამედროვე ეტაპზე გა...ის დაცვა მსოფლიო მნიშვნე...ების პრობლემად ითვლება. ბუ...ზე ნეგატიური ზემოქმედების ...ეთა შესაძლებელია მხოლოდ ...რთაშორისო თანამშრომლო...

...ატომ იქცა ტექნოლოგიური ...ცესები გარემოს გაჭუჭყიანე...წყაროდ? ან როგორ შეიძლე...ამ პროცესების „გაკეთილშო...ებისა?“

...ე საკითხებს დღეს მეცნიერე...ი იკვლევენ და ჩვენთან მათი ...ავრა სახელმწიფოებრივი მნი...ელობის დონეზეა.

...ართია და მთავრობა დღენია...ზრუნავენ საბჭოთა ხალხის ...ილდღეობის გაუმჯობესებისა...ს. ამის ერთ-ერთი ნათელი და...ტურებაა ჩვენი ქვეყნის ძირი...ი კანონი — საბჭოთა კონსტი...ცია და მოქმედი კანონი ატ...ფერული ჰაერის დაცვის შე...ებ.

...ერსებითი მნიშვნელობა აქვს ...ოსფერული ჰაერის — ბუნებ...ი გარემოს ერთ-ერთი ძირი...ი ელემენტის დაცვას. ჰაერი ...ფროობა ყოველ ცოცხალ არ...ს, „მასზე დიდად არის დამო...ებული ადამიანის ჯანმრთელო...ბა-ცხოვრება და ცხოველთა სამ...ოს მდგომარეობა.

...ანე ნივთიერებებით გაჭუჭ...ებული ჰაერი მეტეოროლო...ი პირობების ხელშეწყობით ...ძლებს მდინარეებისა და წყალ...ავების, ზღვებისა და ნიადაგე...ში გაჭუჭყიანების წყარო ...ფს.

...ზ-მტვერგამწმენდი მოწყობი...ებების, აგრეთვე მცირენარჩე...ნი და უნარჩენო ტექნოლო...ური პროცესების ფართო გა...ენვებით გარემოს ობიექტები...თანდათანობით მოიხსნება ის...ე ეკოლოგიური დატვირთვე...რომელთა გავლენის ქვეშაც ...ოფება იგი დღეს.

...ქართველოს ჰიდრომეტეოროლ...გიისა და გარემოს კონტროლის ...ბლიკური სამმართველოში ...ს ფართოდ არის გაშლილი ატ...ფერული ჰაერის, ზედაპირუ...წყლების, მდინარეების, ტბე...ი წყალსაცავებისა და ზღვის, ...თვე ნიადაგების გაჭუჭყიანე...დმი კონტროლი. აქ მოქმე...ს გარემოს გამოკვლევისა და ...ტროლის რესპუბლიკური ცენ...ი (უფროსი — გეოგრაფიის ...ნიერებათა კანდიდატი შ. გა...ელი), რომელიც რესპუბლიკის ...დასხვა ქალაქში ოცამდე განთ...ებულებასა და ლაბორატორიას ...თანებს. შარშან აქ ატმოსფე...ული ჰაერის, ზედაპირული წყლე...ი და ნიადაგების გაჭუჭყიანე...დასადგენად 123 ათასზე მე...ქმოსფერული ანალიზი ჩაატარეს.

...ტმოსფერული ჰაერის გაჭუჭ...ებისადმი (ხელმძღვანელი — ...ური ლაბორატორიის უფროსი ...ქიმიის მეცნიერებათა კანდი...ი ჯ. ძიგუა) დაკვირვებები წა...ებს რესპუბლიკის მსხვილ სა...ეველო ქალაქებში. 34 სათვალ...ელო პუნქტში დღეში სამჯერ ...ება დაკვირვება ჰაერში გოგირ...ანი ანჰიდრიდის, აზოტის ორ...ჟანგის, ნახშირჟანგისა და ...ის შემცველობაზე. აქვე ისა...ება მეტეოროლოგიური პა...ტრები და ყოველი ქალაქი...ის სპეციფიკური კომპონენ...ი. ზედაპირული წყლებისა ...მძღვანელი — ლაბორატორის ...ოსი ნ. კახიძე) და ზღვის ...ის (ლაბორატორიის უფროსი ...ნ. დავითაია) ხარისხისადმი კო...ოლი წარმოებს რესპუბლიკის ...მდინარის 16 პუნქტსა და 112 ...ზე, 11 ტბასა და წყალსაცავ...შავი ზღვის ბათუმისა და ფო...ი აკვატორიუმებში, სპეციალუ...გემ-ლაბორატორიებით. აქვე ...წყვლება ზღვის ჰიდრობიო...ფიური თვისებები.

...ულის ობიექტებზე დაკვირვე...ი პროგრამა განისაზღვრება ...ემომხმარებლების მოთხოვ...ებებიდან გამომდინარე გაჭუჭ...ების ხარისხის მიხედვით, და...ებით განისაზღვრება აგრეთვე ...პეციფიკური გამაჭუჭყიანებე...ლი ნივთიერებები, რომლებიც დამახასიათებელია ჰიდროსფეროს მოცემული ობიექტებისათვის.

ნიადაგების გაჭუჭყიანებისადმი კონტროლი (ლაბორატორიის გამგე — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ტ. ბერიშვილი) წარმოებს როგორც სასოფლო სამეურნეო ზონებში, ისე სამრეწველო-ენერგეტიკული ობიექტების გარშემო ტერიტორიებზე. ნიადაგებისადმი ასეთი კონტროლი ეწყობა წელიწადში ორჯერ — გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

ჩვენი სამმართველოს შეკვეთით თბილისში შენდება ატმოსფეროს, მდინარე მტკვრისა და თბილისის წყალსაცავის წყლის ხარისხის კონტროლის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც უნიკალური იქნება. იგი ერთდროულად წყალში 17 სხვადასხვა გამაჭუჭყიანებელ მაჩვენებელს განსაზღვრავს.

ეს სისტემა შეიცავს ავტომატურ წყალმღებ სადგურებს, რომლებიც საკონტროლო წყალს ავტომატურად ამოიღებენ, დაადგენენ მათ ფიზიკურ თვისებებს, ქიმიურ მახასიათებლებს და მოაცემებს საინფორმაციო ცენტრს გადასცემენ, ამასთანავე მიუთითებენ დამნაშავე ობიექტებს, გასცემენ მოსალოდნელი ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად გაჭუჭყიანების ხარისხის შესაძლო მომატების პროგნოზებს და სხვა.

ამ სისტემის პირველი სადგური უკვე აშენებულია ორთაჭალასთან, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. მალე დამთავრდება მეორე სადგურის მშენებლობა ზაჰესის სადერივაციო არხზე. დანარჩენი ხუთი სადგური მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია მომავალი წლის ბოლოდე. სისტემაში ჩაირთვება აგრეთვე ჰაერის გაჭუჭყიანების კონტროლის თბილისის 7 სათვალთვალო საგუშაგო.

გამონაფრქვევთა ნორმირება გაჭუჭყიანების თითოეული წყაროსათვის, თითოეული სამრეწველო საწარმოსათვის განსაზღვრავს საწარმოთა კონკრეტულ პასუხისმგებლობას ამ ნორმატივების დაცვისათვის, გაზ-მტვერდამჭერი დანადგარების გამართული მუშაობისა და მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესების შეუფერხებელი დანერგვისათვის.

ამ მიმართულებით სამმართველოში უკვე მოქმედებს სამრეწველო საწარმოთა გამონაფრქვევების ნორმირების განყოფილება (უფროსი — მ. ნეფარიძე) და ატმოსფეროს დაცვის ღონისძიებათა გეგმების შემუშავებისა და პროექტების ექსპერტიზის განყოფილება (უფროსი — ლ. ბერეზოვსკი).

ამ განყოფილებებმა უკვე შეაჯამეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სამრეწველო ობიექტების გამონაფრქვევების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, შეკრიბეს და დაამუშავეს ჰაერის დაცვის ღონისძიებათა გეგმები, შეადგინეს გაჭუჭყიანების შესაძლო ცვლილებების პროგნოზი.

ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღებისა და დაცვის მიზნით თითოეული საწარმოსათვის განისაზღვრება მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევების დროებითი შეთანხმებული ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფს დადგენილ რაოდენობაზე თანდათანობით გადასვლას. დაწყებულია ასეთი ნორმების შემუშავება და იგი 1981-82 წლებში დაინერგება თბილისის, რუსთავისა და ზესტაფონის საწარმოებში, ხოლო 1983-85 წლებში — რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

ამ სამუშაოებში ფართოდ არიან ჩაბმული საქგიპრომეზის, საქავტოპროექტის, საქენერგოს, მსუბუქი მრეწველობისა და საერთოდ დარგობრივი სამინისტროების კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციები, რომელთა მუშაობას კოორდინაციას უწევს ჩვენი სამმართველო.

ასეთი ნორმატივების დანერგვა მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტიანი და დადებითს შედეგს მოგვცემს, თუ განხორციელდება როგორც სახელმწიფო, ისე საუწყებო დაცვის რეგულარული კონტროლი.

ა. დალაქიშვილი,
საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სამმართველოს უფროსის მოადგილე, რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი.

საკრებულისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

საბჭოთა ეროვნული დელეგაციის ზურგზე

4 ივნისი

რაც ხელს აძლევთ...

კიდევ უფრო უმეგობრდებიან აპარტეიდის რეჟიმს

ვაშინგტონი. *აფრიკის საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ჩ. კროკერმა საბოლოოდ გაარკვია ის, თუ როგორი იქნება შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაციის პოლიტიკა აფრიკის მიმართ.* სახელმწიფო დეპარტამენტში მისი გამოსვლა ადასტურებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად განაგრძობს სამხრეთ აფრიკის აპარტეიდის რეჟიმთან დაახლოებას და ზურგს შეაქცევს შავი კონტინენტის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომელთა პოლიტიკა ხელს არ აძლევს ვაშინგტონს. შეერთებულ შტატებს, თქვა ჩ. კროკერმა, არ სურს ტყუილუბრალოდ დაბარჯოს თავისი რესურსები აფრიკის „არაეფექტიან მთავრობათა“ დასახმარებლად და განზრახული აქვს მხარი დაუჭირონ „გამარჯვებულს, ესე იგი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას. ჩვენ არ გვრცხვენია განვაცხადოთ ეს, დასძინა მან. მომავალში, თქვა შემდეგ კროკერმა, შეერთებული შტატები კეთილგანწყობით მოეკიდება მხოლოდ იმ ქვეყნებს, სადაც ხორცელდება შედეგის მომტანი „პრაგმატული პოლიტიკა“. არ შეგვიძლია გავანაწილოთ ჩვენი ორგანული რესურსები, თუ არ გავთვალისწინებთ იმ მთავრობათა პოლიტიკას, რომლებსაც ვეხმარებით.

სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს, რომელმაც აღნიშნა, რომ დასავლეთი აფრიკის სამხრეთი ნაწილისადმი „დიდ ინტერესს“ იჩენს, არ დაუშურებია ქათინაურები პრეტორიის რეჟიმისადმი. აშკარა ფაქტების საწინააღმდეგოდ იგი ამტკიცებდა, კერძოდ, თითქოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალნი „ცდილობენ“ თავდან აიცილონ აპარტეიდის პოლიტიკა.

ულტიმატუმი წაუყენეს

„ხელების გადაგრეხვის“ ტაქტიკა გრძელდება

ლონდონი. *დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობა ახორციელებს ხელისუფლები ი ს ადგილობრივი ორგანოებისათვის „ხელების გადაგრეხვის“ ტაქტიკას იმ მიზნით, რომ დაძლიოს ფართო ოპოზიცია თავისი ეკონომიკური კურსისადმი, რომელიც ითვალისწინებს, კერძოდ, ქალაქების საჭიროებისათვის განკუთვნილ ასიგნებათა მასირერებულ შემცირებას.* ინგლისის პარლამენტის თემთა პალატაში გამოსვლისას გარემოს საკითხთა მინისტრმა მ. ჰიზლტაინმა, რომლის განკარგულებაშია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, ულტიმატუმი წაუყენა ქვეყნის მუნიციპალიტეტებს. მინისტრმა მათ მოსთხოვა შეკვეცონ ბიუჯეტები, განაცხადა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში კაბინეტი ცალმხრივი წესით შეუწყვეტს ქალაქებს ხაზინიდან სახსრების გამოყოფას.

ინგლისის მინისტრის განცხადებამ მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია ლეიბორისტული ოპოზიციის მხრივ პარლამენტში. „კონსერვატორთა მთავრობამ,— ხაზი გაუსვა ლეიბორისტმა ჯ. კაუფმანმა, ნამდვილი ომი გააჩაღა ბრიტანეთის მუნიციპალიტეტების წინააღმდეგ“.

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

მდგომარეობა პოლონეთში

„რაბოტნიჩესკო დელო“ იუწყება

სოფია. *პოლონეთიდან მიღებული ცნობები მოწმობს, წერს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“, რომ კიდევ უფრო რთულდება ვითარება, რომ ანტისოციალისტური ძალები აფართოებენ საქმიანობას და ცდილობენ გაიძლიერონ პოზიციები.* შედარებითი სიმშვიდე, ის, რომ აღარ ხდება დიდი გაფიცვები და კონფლიქტები უკანასკნელი ორი თვის მანძილზე, მაცთუნებელია. მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ კრიზისი პოლონეთის საზოგადოებაში ღრმავდება, ხელს უფრო მეტი საფრთხე ექმნება სოციალისტურ წყობილებას პოლონეთში.

კიდევ უფრო მძიმე გახდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, წერს შემდეგ გაზეთი. ცხადია, რომ, თუ არ გაიზარდა ეროვნული წარმოება, შეუძლებელი იქნება ქვეყნის წარმატებული განვითარება და 35-მილიონიანი პოლონელი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. მაგრამ წარმოება კვლავ ქვეითდება, საწარმოებში მუშაობის დეზორგანიზაციას მოჰყვა წარმოების რიტმის დარღვევა, მცირდება ეროვნული შემოსავალი. მოსახლეობის ფულადი შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ წარმოების შემცირების გამო ბაზრის მომარაგება საქონლით კიდევ უფრო გაუარესდა. სერიოზულად შემცირდა პოლონეთის საექსპორტო შესაძლებლობანი.

შემაშფოთებელი დარღვევები შეიმჩნევა, წერს „რაბოტნიჩესკო დელო“, სახელმწიფო აპარატის მუშაობაში. ქვეყანაში ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობაა, გახშირდა მილიციისა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების წინააღმდეგ მიმართული გამოხდომები და შეურაცხყოფა, იზრდება დამნაშავეობა, აღვიგებენ ანტისაბჭოურ განწყობილებას.

სავსებით ცხადია, რომ გარეშე და შინაური რეაქციული ძალები პოლონელი ხალხის სოციალისტური მონაპოვრებისათვის ძირის გამოთხრისა და ლიკვიდაციის გეგმაზომიერ კურსს ადგენან. ისინი აქტიურად, თუმცა შენიღბულად მოქმედებენ სოციალისტური საზოგადოების ეროზიისათვის. პოლონელმა ხალხმა კარგად იცის, თუ რა მოიპოვა სოციალისტური რევოლუციის შედეგად. სოციალიზმმა პოლონეთი გამოიყვანა ჩამორჩენილობიდან და სილატაკიდან, რომლებიც წარსულში მილიონობით პოლონელს აიძულებდა სხვა ქვეყნებში ეძებნა სამუშაო და სარჩო, უზრუნველყო მისი სუვერენიტეტი და ეროვნული დამოუკიდებლობა, საზღვრების უშიშროება და ერთგული მეგობრები და მოკავშირეები. ამიტომ კოს-კორი და სხვა კონტრრევოლუციური დაჯგუფებები ვერ ბედავენ აშკარად გამოაცხადონ თავიანთი ანტისოციალისტური მიზნები, რისთვისაც არჩიეს „მეცოცავი კონტრრევოლუციით“ სოციალისტური ინსტიტუტების გახრწნისა და ხელში ჩაგდების ტაქტიკა.

ანტისოციალისტურმა ორგანიზაციებმა, როგორიც არის ყბადაღებული კოს-კორი და „დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაცია“, მოსახერხებელი თავშესაფარი პოვეს პროფგაერთიანებაში „სოლიდარობაში“. ამ პროფგაერთიანებაში შედიდა ბევრი პოლონელი მუშაც, რომლებიც დადებითად ეკიდებიან სოციალისტურ წყობილებას პოლონეთში და აქტიურად მონაწილეობენ პოლონეთის ახალი ცხოვრების მშენებლობაში. მაგრამ ფაქტები მოწმობს, რომ „სოლიდარობის“ საქმიანობის ბევრ საკითხში ისინი მოტყუებული დარჩნენ. პროფგაერთიანების რეაქციული წრეები ქმნიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისადმი ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიას. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები სრულიად საფუძვლიანად შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებზე ზეგავლენის ტაქტიკა, გაფიცვები, მუქარა და დაუსაბუთებელი ულტიმატუმი, რასაც „სოლიდარობა“ მიმართავს, უდიდეს ზიანს აყენებს ქვეყანას, ხელს უშლის სახელმწიფო აპარატის ნორმალურ მუშაობას.

უცნაური სიტუაცია იქმნება, შენიშნავს „რაბოტნიჩესკო დელო“. თუ „სოლიდარობის“ საქმიანობისა და პროგრამის მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი აპირებს გადაწყვეტოს არა მარტო პროფკავშირული, არამედ ყველა სხვა საკითხიც, მაგრამ პასუხისმგებლობა ყოველივე იმისათვის, რაც ქვეყანაში ხდება, მისი აზრით, უნდა დაეკისროს პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას, მათ შორის იმ პრობლემებისთვისაც, რომელთა გადაწყვეტას ხელს უშლის თვით „სოლიდარობის“ მოქმედება.

განსაკუთრებით საშიში ხდება, ხაზს უსვამს გაზეთი, ანტისაბჭოურობის გაძლიერებული გამოვლინებანი. ეს საშიში მოვლენაა, რომლის შეუფასებლობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ეს ასახავს პოლონეთის ავანტიურისტების საქმიანობას. მაგრამ ესმით თუ არა მათ ეს? განა შეიძლება დავივიწყოთ საბჭოთა კავშირის როლი ფაშიზმის განადგურებასა და პოლონელი და სხვა ევროპელი ხალხების განთავისუფლებაში, დავივიწყოთ 600 ათასი საბჭოთა ადამიანის ხსოვნა, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს პოლონეთის განთავისუფლებას? განა შეიძლება დავივიწყოთ სსრ კავშირის უანგარო დახმარება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, მათ შორის პოლონეთის აღმავლობაში, მისი გადამწყვეტი წვლილი მათი დამოუკიდებლობისა და უშიშროების გარანტიაში? გვინდა გვჯეროდეს, წერს „რაბოტნიჩესკო დელო“, რომ პოლონეთში მოიძებნება ძალები, რომლებიც დაიცავენ სიმართლეს და მტკიცედ აღკვეთენ ანტისაბჭოურობის გამოვლინებებს.

ქვეყანაში შექმნილი ვითარება, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს მტკიცე მოქმედებას, რომლის მიზანია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, მასებთან მისი კავშირის გამტკიცება. ისტორიაში არის იმის მაგალითები, როცა საზოგადოებასა თუ თვით პარტიაში კრიზისის დროს კომუნისტთა რიგები შეკავშირდებოდნენ ხოლმე, პარტიის ბრძოლისუნარიანობა მაღლდებოდა და იგი იმარჯვებდა. მაგრამ თუ პარტია თმობს მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებს და კლასობრივი ბრძოლის კანონ ებიდან გადახვევის გზას დაადგება, იგი ყოველთვის იდეურად და ორგანიზაციულად განიარაღებული რჩება, მასში იმარჯვებენ წვრილბურჟუაზიული ტენდენციები, იგი კარგავს წამყვან როლს.

უკანასკნელ ხანს მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები გამოთქვამენ შეშფოთებას იმ გარემოების გამო, რომ ბევრგან იდეური უთავბოლობის ვითარება შეიქმნა, ღრმად, მარქსისტულად ვერ აანალიზებენ მოვლენებს. ყოველივე ეს ასუსტებს პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობას. განსაკუთრებით საშიშია გამითშველი და ლიკვიდატორული ტენდენციები, რომლებმაც თავი იჩინა პარტიაში, მემარჯვენე რევიზიონიზმისა და ფრაქციულობის გამოვლინებანი. უფრო მეტიც, ანტისოციალისტური ძალები სახელს უტეხენ პატიოსან და სოციალიზმის საქმის ერთგულ კადრებს. ყოველად შეუწყნარებელი რამ ხდება: „სოლიდარობის“ ლიდერები მიუთითებენ, თუ „ვისთან შეუძლიათ მუშაობა“ და ვინ უნდა გადააყენონ. სოციალიზმის მტრები საჯაროდ გამოთქვამენ იმედს, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მომავალი ყრილობა პარტიის წესდებაში შეიტანს ისეთ შესწორებებს, რომლებიც მას რეფორმისტულ პარტიად გადააქცევს. პოლონეთის ნამდვილი კომუნისტები კი იბრძვიან პარტიული რიგების შეკავშირებისათვის, პარტიის მარქსისტულ-ლენინური ხასიათის განმტკიცებისათვის.

ბულგარელი მშრომელები, წერს დასასრულ „რაბოტნიჩესკო დელო“, გასაგები შეშფოთებით ადევნებენ თვალს ამბებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში. სოციალიზმზე თავდასხმები პოლონეთში — ეს არის თავდასხმები სოციალისტურ თანამეგობრობაზეც, ევროპის მშვიდობასა და უშიშროებაზეც. ამიტომ ამ ქვეყანაში შექმნილმა სიტუაციამ არ შეიძლება ჩვენი შეშფოთება არ გამოიწვიოს.

საბერძნეთი

აპირებდნენ გადატრიალებას

ათენი. *ამა წლის პირველ ივნისს ღამით არმიის ოფიცერთა ჯგუფმა გადაწყვიტა მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება საბერძნეთში.* ასეთი ცნობა გამოაქვეყნა დეპუტატმა დემოკრატიული ცენტრის კავშირის პარტიისაგან კონსტანტინოს ბანტუვასმა. მან აღნიშნა, რომ არსებული რეჟიმის დამხობის გეგმები შეიმუშავა ნამდვილ სამსახურში მყოფმა, აგრეთვე გადამდგარ ოფიცერთა ჯგუფმა.

შეთქმულნი აპირებდნენ დაეპატიმრებინათ საბერძნეთის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელები, მათ შორის პრეზიდენტი გ. კარამანლისი, ხელთ ეგდოთ მთავრობის შენობები, კავშირგაბმულობის ცენტრები და სამხედრო ობიექტები, შეეჩერებინათ კონსტიტუციის მოქმედება, მაგრამ მათი გეგმები შეიტყეს ხელისუფლებმა. შეთქმულება გამომჟღავნდა, საბერძნეთის თავდაცვის მინისტრმა ავეროფმა კი ბრძანა საბრძოლოდ გაემზადებინათ ჯარის რამდენიმე ქვეგანაყოფი ატიდის ოლიმპიონში.

კ. ბანტუვასი აღნიშნავს, რომ დღემდე შეთქმულების ორგანიზატორები დაპატიმრებული არ არიან, თუმცა მათი გვარები ცნობილია მთავრობისათვის. ბერძენმა ხალხმა, ბაზს უსვამს პარლამენტარი, არაფერი იცის ამ ამბების შესახებ.

ბანტუვასის ცნობა უარყო საბერძნეთის თავდაცვის მინისტრმა. მან განაცხადა, რომ ქვეყანაში ვითარება აბსოლუტურად მშვიდია.

საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესის ბიურომ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრს მოსთხოვა გამოაქვეყნოს სრული ინფორმაცია შეთქმულებათა გეგმების შესახებ.

შემთხვევა

ხანძარი ხომალდზე

ვაშინგტონი. *ძლიერი ხანძარი გაჩნდა მე-6 ფლოტის სამხედრო-სატრანსპორტო ხომალდ „ნიტროზე“, რომელიც კრეტას კუნძულის ნაპირთან დაცურავს. როგორც ატლანტიკის ფლოტის სარდლობა იუწყება, ეკიპაჟის ექვსმა წევრმა დამწვრობა მიიღო და დაშავდა, ხოლო ხომალდი საგრძნობლად დაზიანდა. რაღაც სახიფათოთ ცეცხლი არ მოიდო ტრიუშებს, რომლებიც სავსე იყო რაკეტებით, დინამიტითა და ტყვია-წამლით. არ გამორიცხავენ, რომ ხომალდზე იყო აგრეთვე ბირთვული საბრძოლო მუხტები.*

ფოტოინფორმაცია

ავღანეთი

იმაღლებენ საბრძოლო ოსტატობას

ავღანეთის *დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები მტკიცედ დგანან რევოლუციის მონაპოვრების დაცვის სადარაჯოზე. სულ უფრო მეტად იმაღლებენ საბრძოლო ოსტატობას და პოლიტიკური განათლების დონეს „ხარბი პუხანტუს“ სამხედრო სასწავლებლის კურსანტები.*

სურათზე: *სასწავლებლის კურსანტების წინაშე გამოდის გაზეთ „ჟარისკაცური სიმართლის“ რედაქტორი მირ ჯამალუდინ ფაპრი.*

საკ.ფოტო.

ყაბალი

მეცხრე

7 ივნისს თბილისში გაიმართება კომბინირებული წრიული ამანათრბენი. ამ ტრადიციულ შეჯიბრებაზე, ჩვეულებრივ თამამდება გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი. ასპარეზობის ორგანიზატორები არიან გაზეთის რედაქცია და თბილისის სპორტკომიტეტი. შეჯიბრება, რომელიც მეცხრედ ეწყობა, ამჯერად 21 ეტაპისაგან შედგება და მასში მონაწილეობას მიიღებენ სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები. ამანათრბენის ეტაპები ასეთია: გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია (450 მ. ქალები, მძლეოსნები) — სასტუმრო „საქართველო“ (400 მ. ვაჟები, მძლეოსნები) — უნივერსიტეტი (300 მ. ვაჟები, მძლეოსნები) — სამკურნალო კომბინატი (400 მ. ქალები, მძლეოსნები) — ა. პუშკინის სახელობის ინსტიტუტი (750 მ. ვაჟები, მძლეოსნები) — ტექნიკის სახლი (900 მ. ვაჟები, მძლეოსნები) — გამარჯვების პარკი (2300 მ. ველოსიპედისტები) — საბჭოთა-ლოსა და პავლოვის ქუჩების გადაკვეთა (500 მ. ვაჟები, მძლეოსნები) — ინფექციური საავადმყოფო (3200 მ. ვაჟები, ველოსიპედისტები) — კინოსტუდია „ქართული ფილმი“ (500 მ. ქალები, მძლეოსნები) — სახელმწიფო ფილარმონია (400 მ. ვაჟები, მძლეოსნები) — ბუსტიციის სამინისტრო (300 მ. ვაჟები, მძლეოსნები) — მარჯანიშვილის მოედანი (250 მ. ქალები, მძლეოსნები) — მ. გორკის სახელობის კლუბი (350 მ. ვაჟები, მძლეოსნები) — გრიბოედოვის ძეგლი (2300 მ. ვაჟები, ველოსიპედისტები) — ვ. ი. ლენინის მოედანი (300 მ. ქალები, მძლეოსნები) — პიონერთა სასახლე (400 მ. ვაჟები, მძლეოსნები) — რუსთაველის სახელობის თეატრი (400 მ. ვაჟები, მძლეოსნები) — ოპერისა და ბალეტის თეატრი (300 მ. ქალები, მძლეოსნები) — სასტუმრო „ოვერია“ (300 მ. ვაჟები, მძლეოსნები) — რუსთაველის ძეგლი (300 მ. ვაჟები, მძლეოსნები). სტარტი და ფინიში „კომუნისტის“ რედაქციის შენობასთან. ამანათრბენი დაიწყება დილის 11 საათზე.

ჩემპიონის ვინაობა დღეს გაირკვევა

პრაღაში დასასრულს მიუახლოვდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ევროპის ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრება. სსრ კავშირის ნაკრებმა ამ ეტაპის მორიგი მატჩი მოუგო ისრაელის გუნდს ანგარიშით 112:84. ამ გამარჯვებით საბჭოთა კალათბურთელებმა პირველი ადგილისათვის გადამწყვეტ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვეს. იუგოსლავებმა დამარცხეს ესპანელები — 95:72. იუგოსლავია-ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების გუშინდელ შეხვედრას უნდა გაეკვეა, პირველი ადგილისათვის მატჩში საბჭოთა კავშირის ნაკრების მეტოქე ვინ იქნება. ეს შეხვედრა გვიან ღამით დამთავრდა. დღეს ბოლო, გადამწყვეტი მატჩები გაიმართება და, ცხადია, პრიზიორთა ვინაობაც დღეს გაირკვევა.

ფეხბურთის ამბები

ევროპის შერჩევით ჯგუფებში გაიმართა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. აი შედეგებიც:

მეოთხე ჯგუფი. რუმინეთის ნაკრებმა ბულგარესში დაამარცხა ნორვეგიის გუნდი ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა ტიკლეანუმ. ხუთხუთი მატჩის შემდეგ რუმინელებს 6 ქულა აქვთ, ინგლისელებს— 5. მომდევნო ადგილებზე არიან უნგრელები — 5 ქულა (3 შეხვედრიდან), შვეიცარიელები — 3 (4-დან), ნორვეგიელები —3 (5-დან).

მეხუთე ჯგუფი. კოპენჰაგენში დანიელებმა მიიღეს იტალიელები და გაიმარჯვეს — 3:1. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს რენტვედმა, არნესენმა (პენალტით) და ბასტრუპმა, იტალიელთაგან — გრაციანიმ. ეს იყო იტალიელთა პირველი წაგება. ლიდერობენ ქვლავ იტალიელები — 8 ქულა (5 შეხვედრიდან). მომდევნო ადგილებზე არიან იუგოსლავები — 6 (4-დან), დანიელები — 6 (6-დან), ბერძნები — 6 (5-დან), ლუქსემბურგელები — 0 (6-დან).

მეექვსე ჯგუფი. სტოკჰოლმში შვეციის ნაკრებმა მოუგო ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს — 1:0. გოლი (პენალტით) გაიტანა ბორგმა. აქ ლიდერობენ შოტლანდიელები — 8 ქულა (5 შეხვედრიდან). ჩრდილოეთ ირლანდიელებს 6 ქულა აქვთ (6-დან), პორტუგალიელებს — 5 (4-დან), შვედებს — 4 (5-დან), ისრაელებს — 3 (6-დან).

ჰაბუკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი, რომელიც დიუსელდორფში გაიმართა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა მოუგო პოლონეთის გუნდს — 1:0. მესამე ადგილი დაიკავა საბერძნეთის ნაკრებმა.

ოლიმპიადა-92 ბარსელონაში?

ბარსელონის მერმა ნარსის სერამ სთხოვა ესპანეთის მეფეს ხუან კარლოსს შუამდგომლობა გაუწიოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, რათა 1992 წელს ოლიმპიური ასპარეზობა გაიმართოს ბარსელონაში. 1992 წელს ესპანეთში იზეიმებენ ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის 500 წლის თავს და სწორედ ამ თარიღს უნდათ დაუკავშირონ ამ ქვეყანაში ოლიმპიადის გამართვა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

1971 წელს რაიონში პრემიებ...სამინდოს მთლიანი მოსავლის ...ბიზნესის სამჯერ მეტი ხმარდება. ...ირათობაა, განა არა? მაგრამ იმ ...ეული წელს რაიონმა სულ ...0 ტონა სიმინდი დაამზადა, ...ან კი—21 ათასი ტონა. სანამ ...ლისების ახალი მექანიზმი შე...ებოდა, სიმინდის მოყვანას ...ონისათვის 35 ათას მანეთზე ...ი ზარალი მოჰქონდა, ახლა კი ...ბაშვილებისათვის დაახლო�eთ მილიონი მანეთის მოგება მო...

23 თებერვალს გ. მგელაძეს ...ი რიალური საფეხბურთო ჭრონ...„ბრავადის“ ფორეკლუბზე პირო...ადეთო, რომ მეთერთმეტე ხუთ...ში რაიონი ჰეტრიკზე 70 ცენ...ერ სიმინდს მოიწევდა.

...ბაშვილ გაერთიანებას სათავე...ჩაუდგა ვალერი ხუციშვილი. ...ბერ ეგი საქართველოს სსრ მი...ერთა საბჭოს სოფლის მეურნე...ბ განყოფილების ბამბის მოა...ლედ მუშობდა. განა ბევრს ...ვინ თბილისში მაღალი რანგის ...ა, რომელიც დიდაქალაქიდან ...ორჩენილის რეპუტაციის მქონე ...ეული რაიონში გადავა სამუ...ად?

...ტექნიკის მეცნიერებათა კან...ატი ოთარ ეკომაია თბილისის ...ლის მეურნეობის მექანიზაცი...ა და ელექტრიფიკაციის სამეცნ...ერო-კვლევითი ინსტიტუტის ლა...ატორიის გამგე იყო. რიგიანი ...ეფსანი, ბინა, ეკოლი — პედაგო...ბილები — წამოზრდილი. რით ...ბლეს ოთარ ეკომაია აბაშურმა ...ერებმა და დაეკეფლებმა?

...ოფლის მეურნეობის მეცნი...ებათა კანდიდატს ეაკთ ვასაძეს ...ერთგულოში თითქმის არ უმუ...ია. ჯარიდან რომ დაბრუნდა, ...ალი ქალი შეირთო. დღე...დგა სწავლობდა. ხან — ეკალ...აციის ამაოლებს კურსები, ხან ...დაუსწრებელი ასპირანტურა. ...თიმწყობით ულილიერებდა ...ხისმგებლობის გრძნობა. რამ ...ეიძულა უკრ



თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1981-1982 სასწავლო წლისათვის

დღის განყოფილება

1. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. **სპეციალობა — მათემატიკა** (სპეციალიზაციები: ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური განტოლებანი, ალგებრა და რიცხვთა თეორია, გეომეტრია და ტოპოლოგია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, გამოთვლითი მათემატიკა, მათემატიკური ფიზიკის განტოლებანი, დრეკადობის თეორია, ჰიდროდინამიკა, ასტრონომია);

2. კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი. **სპეციალობა — გამოყენებითი მათემატიკა** (სპეციალიზაციები: ელექტრონული გამომთვლელი მანქანების მათემატიკური უზრუნველყოფა, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენება, მართვის ავტომატიზებულ სისტემათა მათემატიკური უზრუნველყოფა);

3. ფიზიკის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) ფიზიკა** (სპეციალიზაციები: თეორიული ფიზიკა, ბირთვული ფიზიკა, მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკა, ექსპერიმენტული ფიზიკა, გეოფიზიკა, ბიოფიზიკა, ფიზიკური ჰიდროდინამიკა, კვანტური ელექტრონიკა (კვანტური გენერატორები და ჰოლოგრაფია), ატმოსფეროს ფიზიკა), **ბ) რადიოფიზიკა და ელექტრონიკა** (სპეციალიზაციები: კვანტური რადიოფიზიკა, რადიომზომელობა), **გ) ნახევარგამტარები და დიელექტრიკები** (სპეციალიზაციები: ნახევარგამტარებისა და დიელექტრიკების ფიზიკა, მიკროელექტრონიკა);

4. ქიმიის ფაკულტეტი. **სპეციალობა — ქიმია** (სპეციალიზაციები: არაორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია, მაღალმოლეკულური ნაერთთა ქიმია, ქიმიური კინეტიკა);

5. გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) გეოგრაფია** (სპეციალიზაციები: ეკონომიკური გეოგრაფია, ფიზიკური გეოგრაფია, გეომორფოლოგია, კარტოგრაფია, ნიადაგების გეოგრაფია და ნიადაგმცოდნეობა, ოკეანოლოგია, მხარეთმცოდნეობა და საეკურსიო საქმის ორგანიზაციის მეთოდიკა), **ბ) მეტეოროლოგია** (სპეციალიზაცია: ხმელეთის ჰიდროლოგია), **გ) წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები, დ) გეოლოგიური აგებულება და წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიება;**

6. ბიოლოგიის ფაკულტეტი. **სპეციალობა — ბიოლოგია** (სპეციალიზაციები: ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ბიოქიმია, ბიოფიზიკა, გენეტიკა და სელექცია, ციტოლოგია, მიკრობიოლოგია და იქთიოლოგია);

7. ისტორიის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) ისტორია** (სპეციალიზაციები: საკმაოდ ისტორია, მეცნიერული კომუნიზმი, სსრკ ხალხთა ისტორია, საქართველოს ისტორია, ძველი და შუა საუკუნეების ისტორია, ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია, აზიის და აფრიკის ახალი და უახლესი ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია), **ბ) ხელოვნებათა ისტორია;**

8 ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი: **სპეციალობანი: ა) ფილოსოფია, ბ) ფსიქოლოგია.**

9. ფილოლოგიის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) ქართული ენა და ლიტერატურა:** (სპეციალიზაციები: კავკასიური ენები, კლასიკური ფილოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, სსრკ ხალხთა ლიტერატურა და მხატვრული თარგმანი, ფოლკლორისტიკა, ტექსტოლოგია), **ბ) რუსული ენა და ლიტერატურა;**

10. ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. **სპეციალობა — ჟურნალისტიკა** სპეციალიზაციები: ლიტერატურული მუშაობა გაზეთებსა და ჟურნალებში, ლიტერატურული მუშაობა რადიომაუწყებლობაში, ლიტერატურული მუშაობა ტელევიზიაში);

11. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) ინგლისური ენა და ლიტერატურა, ბ) გერმანული ენა და ლიტერატურა, გ) ფრანგული ენა და ლიტერატურა;**

12. აღმოსავლთმცოდნეობის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) აღმოსავლური ენები და ლიტერატურა, ბ) საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობა;**

13. ეკონომიკის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) პოლიტიკური ეკონომია, ბ) ფინანსები და კრედიტი, გ) სტატისტიკა;**

14. საალრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტი. **სპეციალობა — საბუღალტრო აღრიცხვა** (სპეციალიზაციები: აღრიცხვა მრეწველობაში, აღრიცხვა ვაჭრობაში, აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში, აღრიცხვა ტრანსპორტზე, ბიუჯეტური აღრიცხვა);

15. საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, ბ) მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, გ) ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაცია, დ) ეკონომიკური კიბერნეტიკა, ე) საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და ორგანიზაცია;**

16. სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) სახალხო მეურნეობის დაგეგმვა, ბ) მრეწველობის დაგეგმვა, გ) შრომის ეკონომიკა, დ) სოფლის მეურნეობის დაგეგმვა;**

17. ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) ვაჭრობის ეკონომიკა** (სპეციალიზაცია — საზოგადოებრივი კვება), **ბ) საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია, გ) საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია, დ) მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა;**

18. იურიდიული ფაკულტეტი. **სპეციალობა — სამართლისმცოდნეობა.**

შენიშვნები:

ა) ფილოსოფიის, ჟურნალისტიკის, პოლიტიკური ეკონომიისა და სამართლისმცოდნეობის სპეციალობათა დღის განყოფილებაზე შემსვლელებს, როგორც წესი, მოეთხოვებათ პრაქტიკული მუშაობის ორი წლის სტაჟი. გარდა ამისა, ჟურნალისტიკის სპეციალობაზე მიიღებიან პირნი, რომლებმაც უნარი გამოიჩინეს ლიტერატურულ საქმიანობაში. ამ მიზნით დღის განყოფილებაზე ჟურნალისტიკის სპეციალობაზე მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად დაიშვებიან მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან შემოქმედებითს კონკურსს.

შემოქმედებითს კონკურსში მონაწილეობის მსურველნი წარმოდგენენ რედაქციის ან სსრკ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის რეკომენდაციებს, პიროდოდ პრესაში გამოქვეყნებულ, ან რადიოთი და ტელევიზიით გადაცემულ მასალებს. პეროიდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს ამონაჭერთა სახით (ფოტოპუბლიკაციების დუბლირება შეიძლება ორიგინალებთან), რადიო და სატელევიზიო მასალები მანქანაზე გადაბეჭდილი ხელნაწერების სახით. ყველა მასალა დამოწმებული უნდა იყოს სათანადო რედაქციის ხელმძღვანელის ხელისმოწერითა და ბეჭდით.

ავტორები ნაშრომებისა, რომლებმაც დადებითი შეფასება დაიმსახურეს, დაიშვებიან შემოქმედებითს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

კონკურსისათვის განცხადება და მასალები მიიღება 10 ივლისამდე ჩათვლით. შემოქმედებითს კონკურსში აბიტურიენტის დაშვების გადაწყვეტილებას კომისია იღებს 14 ივლისამდე.

შემოქმედებითი კონკურსი ეწყობა 15-25 ივლისს ორ ტურად, პირველი — წერითი საშუალო სპეციალური მეთოდიკით, მეორე — გასაუბრება.

პირები, რომლებიც წარმატებით გაივლიან აღნიშნულ კონკურსს, დაიშვებიან მისაღებ გამოცდებზე.

ჟურნალისტთა კავშირის წევრები თავისუფლდებიან შემოქმედებითს კონკურსში მონაწილეობისაგან და მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ჩაირიცხებიან პირველ კურსზე უკონკურსოდ.

ჩარიცხვისას სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა ეძლევათ იმათ, ვინც უფრო წარმატებით გაიარა შემოქმედებითი კონკურსი.

ბ) ფილოსოფიის, ჟურნალისტიკის, პოლიტიკური ეკონომიისა და სამართლისმცოდნეობის სპეციალობათა დღის განყოფილებაზე მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად პრაქტიკული მუშაობის ორი წლის სტაჟის უქონლად გამონაკლისის სახით დაიშვებიან აბიტურიენტები, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს მედლით, აქვთ ფრიადოსნის ატესტატი, საშუალო სპეციალური, საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლის წარჩინების დიპლომი. ასეთი პირების ჩარიცხვა მისაღები გამოცდების შედეგად მოხდება ამ სპეციალობებისთვის გამოყოფილი. საკონკურსო ადგილების 25 პროცენტს ფარგლებში, თუ კი ისინი მოაგროვებენ სტაჟის მქონე აბიტურიენტების გამსვლელ ქულაზე მეტ ქულათა რაოდენობას.

გ) რუსულ სექტორზე მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: ა) გამოყენებითი მათემატიკა (სპეციალიზაცია: მართვის ავტომატიზებულ სისტემათა მათემატიკური უზრუნველყოფა), ბ) ფიზიკა, გ) რადიოფიზიკა და ელექტრონიკა, დ) რუსული ენა და ლიტერატურა, ე) ჟურნალისტიკა, ვ) საბუღალტრო აღრიცხვა, ზ) მრეწველობის დაგეგმვა.

საღამოს განყოფილება

1. ფიზიკის ფაკულტეტი. **სპეციალობა — ფიზიკა** (სპეციალიზაციები: ბირთვული ფიზიკა, მყარი სხეულების ფიზიკა, რადიოფიზიკა);

2. ქიმიის ფაკულტეტი. **სპეციალობა — ქიმია;**

3. ისტორიის ფაკულტეტი. **სპეციალობა — ისტორია;**

4. ფილოლოგიის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) ქართული ენა და ლიტერატურა, ბ) რუსული ენა და ლიტერატურა;**

5. ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. **სპეციალობა — ჟურნალისტიკა;**

6. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) ინგლისური ენა და ლიტერატურა, ბ) გერმანული ენა და ლიტერატურა;**

7. ეკონომიკის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) ფინანსები და კრედიტი, ბ) სტატისტიკა;**

8) საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. **სპეციალობა — მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია;**

9. სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი. **სპეციალობა — მრეწველობის დაგეგმვა.**

10. ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია; ბ) საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია, გ) მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა;**

11. იურიდიული ფაკულტეტი. **სპეციალობა — სამართლისმცოდნეობა;**

შენიშვნა:

ა) რუსულ სექტორზე მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: რუსული ენა და ლიტერატურა, ჟურნალისტიკა, ვაჭრობის ეკონომიკა, საბუღალტრო აღრიცხვა, სამართლისმცოდნეობა;

ბ) საღამოს განყოფილებაზე დაიშვებიან აბიტურიენტები, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ თბილისში, რუსთავში, მცხეთისა და გარდაბნის რაიონებში, აგრეთვე ის პირები, რომლებიც მუშაობენ თბილისში და ცხოვრობენ საგარეჯოს, ბოლნისის, მარნეულის, კასპის, დუშეთის, თეთრი წყაროს რაიონებში და ქ. გორში.

დაუსწრებელი განყოფილება

1. საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, ბ) მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია.**

2. გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. **სპეციალობა — გეოგრაფია;**

3. ისტორიის ფაკულტეტი. **სპეციალობა — ისტორია;**

4. ფილოლოგიის ფაკულტეტი. **სპეციალობა — ჟურნალისტიკა;**

5. საალრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტი. **სპეციალობა — საბუღალტრო აღრიცხვა** (სპეციალიზაციები: აღრიცხვა მრეწველობაში, აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში);

6. სასალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) ეკონომიკა** (სპეციალიზაციები: ეკონომიკა და სამართლისმცოდნეობის სპეციალობათა დღის განყოფილებაზე მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად პრაქტიკული მუშაობის ორი წლის სტაჟის უქონლად გამონაკლისის სახით დაიშვებიან აბიტურიენტები, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს მედლით, აქვთ ფრიადოსნის ატესტატი, საშუალო სპეციალური, საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლის წარჩინების დიპლომი. ასეთი პირების ჩარიცხვა მისაღები გამოცდების შედეგად მოხდება ამ სპეციალობებისთვის გამოყოფილი. საკონკურსო ადგილების 25 პროცენტს ფარგლებში, თუ კი ისინი მოაგროვებენ სტაჟის მქონე აბიტურიენტების გამსვლელ ქულაზე მეტ ქულათა რაოდენობას.

ბ) სოციალური დაზღვევა (სპეციალიზაციები: აღრიცხვა მრეწველობაში, აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში);

6. სასალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი. **სპეციალობა — შრომის ეკონომიკა;**

7. ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი. **სპეციალობანი: ა) ვაჭრობის ეკონომიკა** (სპეციალიზაციები: ეკონომიკა და სამართლისმცოდნეობა), **ბ) საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია, გ) საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია;**

8. იურიდიული ფაკულტეტი. **სპეციალობა — სამართლისმცოდნეობა.**

შენიშვნა:

ქუთაისის აღ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გახსნილია თბილისის უნივერსიტეტის საღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტის ფილიალი საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობით. ფილიალს აქვს დღისა და საღამოს განყოფილებები. ქუთაისის ფილიალში სწავლის მსურველებმა განცხადება უნდა მიიტანონ ქუთაისის აღ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტში. მისაღები გამოცდები და სწავლა ამავე ინსტიტუტში იწარმოებს. ქუთაისის ფილიალის საღამოს განყოფილებაზე საბუთების შეტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ქ. ქუთაისში და მის ახლომდებარე რაიონებში ცხოვრობენ და მუშაობენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემსვლელთა კონკურსი ეწყობა ცალკეული სპეციალობების, განყოფილებების (დღე, საღამო, დაუსწრებელი) და სექტორების (ქართული, რუსული) მიხედვით დამოუკიდებლად.

შემსვლელნი არჩეული სპეციალობის შესაბამისად მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკის, გეოლოგიური აგებგმვისა და წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიების, წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდების, მეტეოროლოგიის, მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის, მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობებზე — მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

2. ფიზიკის, რადიოფიზიკის და ელექტრონიკის, ნახევარგამტარებისა და დიელექტრიკების სპეციალობებზე — ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (წერა და ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

3. ქიმიის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობებზე — მათემატიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

4. ბიოლოგიის სპეციალობაზე — მათემატიკა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

5. ქართული ენისა და ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის სპეციალობებზე — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

6. სამართლისმცოდნეობის, ფილოსოფიის სპეციალობებზე — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).

7. ხელოვნებათა ისტორიის სპეციალობაზე — ხელოვნების ისტორია და თეორია (ზეპირი, სპეციალური პროგრამით), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი).

8. ფსიქოლოგიის სპეციალობაზე — მათემატიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

9. ინგლისური ენისა და ლიტერატურის, გერმანული ენისა და ლიტერატურის, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე — უცხო ენა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

10. გეოგრაფიის, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, მრეწველობის დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკისა და დაგეგმვის, შრომის ეკონომიკის, ვაჭრობის ეკონომიკის, ფინანსებისა და კრედიტის, სტატისტიკის, საბუღალტრო აღრიცხვის, პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობებზე — მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

11. ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობაზე — მათემატიკა (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

12. სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობაზე — მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

13. საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაციის, საქონელმცოდნეობისა და სასურსათო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობებზე — მათემატიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

14. ისტორიის, საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობის სპეციალობებზე — სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).

შენიშვნები:

ა) ისინი, ვინც დაამთავრა საშუალო სკოლა ოქროს ან ვერცხლის მედლით ანდა საშუალო სპეციალური, საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებელი წარჩინების დიპლომით, ჩააბარებენ პირველად დასახელებულ საგანს, ამასთან იმ საგნებში, რომლებშიც გათვალისწინებულია როგორც წერითი, ისე ზეპირი გამოცდა, აბარებენ მხოლოდ წერითს.

ბ) პროგრამა ხელოვნების ისტორიისა და თეორიაში გამოქვეყნებულია თბილისის უნივერსიტეტის 1981 წლის ცნობარში.

გ) თუ აბიტურიენტი დღის განყოფილებაზე ვერ ჩაირიცხა კონკურსით, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე მისი ჩარიცხვის საკითხი განხილულება იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ განყოფილებებზე ვაკანტური ადგილები დარჩა. ამასთან, განხილიცა მხოლოდ იმ აბიტურიენტის საკითხი, რომელიც აკმაყოფილებს საღამოს და დაუსწრებელ სწავლებაზე შემოსულელთა პირობებს.

დ) მიმდინარე წელს ის აბიტურიენტი, რომელთაც საშუალო განათლების დოკუმენტში (ატესტატი, დიპლომი) არა აქვთ შეფასება „სამი“ და ამასთანავე ამ დოკუმენტის საშუალო ნიშანი არანაკლებ 4,5-ისა (დაუმრგვალებელად), პირველი ორი გამოცდის შედეგად 10 ან 9 ქულის მოგროვების შემთხვევაში ჩაირიცხებიან უნივერსიტეტში დანარჩენი გამოცდების ჩაბარებლად. ეს ეხება აგრეთვე იმ მედალოსნებს და წარჩინების დიპლომის მქონე შემსვლელებსაც, რომლებმაც პირველ გამოცდაზე მიიღეს შეფასება „ოთხი“ და მეორეზე „ხუთი“. თუ ასეთი კატეგორიის აბიტურიენტების რაოდენობა ჩასარიცხავ კონტინგენტს გადააჭარბებს რომელიმე სპეციალობაზე, მაშინ ჩარიცხვის ეს წესი არ განხორციელდება.

მიმდინარე წელს თბილისის უნივერსიტეტის დღის განყოფილებაზე პირველი ორი გამოცდის ჩაბარების შედეგების მიხედვით უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა ჩარიცხვის ექსპერიმენტი ტარდება შემდეგ სპეციალობებზე: მათემატიკა, გამოყენებითი მათემატიკა, ფიზიკა, რადიოფიზიკა და ელექტრონიკა, ნახევარგამტარები და დიელექტრიკები, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგიური აგებგმვა და წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიება, წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები, მეტეოროლოგია, პოლიტიკური ეკონომია, ფინანსები და კრედიტი, სტატისტიკა, საბუღალტრო აღრიცხვა, მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაცია, საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და ორგანიზაცია, მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, ეკონომიკური კიბერნეტიკა, სახალხო მეურნეობის დაგეგმვა, მრეწველობის დაგეგმვა, სოფლის მეურნეობის დაგეგმვა, შრომის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, ვაჭრობის ეკონომიკა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა, საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია, საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია, რუსული ენა და ლიტერატურა, სამართლისმცოდნეობა, ფსიქოლოგია.

უნივერსიტეტზე შემომსვლელს განცხადება შემოაქვს რექტორის სახელზე, ამასთან ზუსტად უნდა აღინიშნოს ფაკულტეტის სპეციალობა და სპეციალიზაცია

განცხადებას თან ერთვის შემდეგი საბუთები:

1. დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი). საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანაორთს ჩაბარებული საგნის შესახებ.

2. დახასიათება (აბიტურიენტს, რომელსაც ორი წლის საწარმოო სტაჟი არა აქვს, დახასიათება შეუძლია წარმოადგინოს იმ სკოლიდან ან სასწავლებლიდან, რომელშიაც იგი სწავლობდა). დახასიათებას ხელს აწერენ: საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი, პარტიული (ან კომკავშირული) ორგანიზაციის მდივანი და პროფორგანიზაციის თავმჯდომარე; კოლმეურნეთა დახასიათებას ხელს აწერენ: კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე და პარტიული (ან კომკავშმრული) ორგანიზაციის მდივანი; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა დახასიათებას ხელს აწერენ: სკოლის დირექტორი და კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან. იმ პირებმა, რომლებსაც აქვთ არანაკლებ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, აგრეთვე წარმოებას მოწყვეტით სწავლებაზე მივლინებულ-ებმა და წარმოება მოუწყვეტლივ სწავლებაზე შემსვლელებმა იმ სპეციალობებზე, რომლებიც სახალხო მეურნეობაში მათი სამუშაოს ხასიათს შეესაბამება, უნდა წარმოადგინონ ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. აღნიშნული ამონაწერის წარმოდგენა ეკავებათ პროფილით მომუშავე აბიტურიენტებსაც.

შენიშვნები:

ა) საშუალო სკოლის (სასწავლებლის) დამთავრების მომდევნო წლებში უმაღლეს სასწავლებლებში დღის განყოფილებაზე შემსვლელს, როგორც წესი, უნდა ჰქონდეს პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 6 თვის სტაჟი ყოველწლიურად, დადასტურებული შრომის წიგნაკიდან ამონაწერით.

თუ აბიტურიენტი სკოლის დამთავრების შემდეგ შრომითს საქმიანობას არ ეწეოდა საპატიო მიზეზით, ამის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს სათანადო საბუთი.

ბ) დოკუმენტი შევსებული უნდა იყოს ორგანიზაციის ბლანკზე ან შტამპდასმულ ფურცელზე რეგისტრაციის ნომრისა და საბუთის გაცემის თარიღის აღნიშვნით; იგი დამოწმებული უნდა იყოს მრგვალი ბეჭდითა და ოფიციალური ფურცლის გამცემის პირადი ხელისმოწერით.

გ) აბიტურიენტის მიერ წარმოდგენილ საბუთს პროფილით მუშაობის შესახებ განიხილავს მიმღები კომისია და გამოცდების დაწყებამდე აბიტურიენტს აცნობებს, ჩაითვლება თუ არა მისი სამუშაო პროფილად. ამის გამო პროფილით მომუშავე ყველა აბიტურიენტი ვალდებულია სათანადო საბუთი წარმოადგინოს მიმღებ კომისიაში არაუგვიანეს 25 ივლისისა.

4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286).

5. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4 სმ).

6. პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (მიწერის მოწმობას) შემსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე (ჩათვლით) ყოველდღე (გარდა კვირა დღისა), 9-დან 16 საათამდე უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში (მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალო, უნივერსიტეტის ქ. № 2).

მისაღები გამოცდები სწავლების სამივე განყოფილებაზე გაიმართება 1 აგვისტოდან.

1 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით მოეწყობა კონსულტაციები ყველა საგამოცდო დისციპლინაში.

უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვასთან დაკავშირებული საკითხები დაწვრილებით არის გაშუქებული 1981 წლისათვის „სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებელში მიღების წესებში“. აღნიშნული წესების შეძენა შეიძლება წიგნის მაღაზიებსა და კიოსკებში.

რექტორატი.



ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

8 ივნისი

პირველი პროგრამაზე: 08.40 — „გამოცდები, გამოცდები“..., 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ერთსა ყვავსა ყვავ ჩ ა ლ ა ს ა“, 10.00 — „მოამბე“, 17.25 — მოსწავლეთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 17.55 — მოსწავლეთათვის — „ათი ათასად ზრდილობა“, 18.50 — „ვერნისაჟი“ — „პოეტის ძეგლი“ (გამეორებით), 19.25 — კომპოზიტორ მ. დავითაშვილის ოკალური ციკლი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — თელავის სახელმწიფო თეატრის ახალი შენობის გახსნისადმი მიძღვნილი ზეიმი, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — თელავის სახელმწიფო თეატრის ახალი შენობის გახსნისადმი მიძღვნილი ზეიმი (გაგრძელება), 23.10 — „მოამბე“, 23.25 — საესტრადო სიმღერების სატელევიზიო ფესტივალი — „მენ გიმღერ, ჩემო სამშობლოო!“ გადაცემა მეოთხე.

მეორე პროგრამაზე: 18.20 — მხატვრული ფილმი — „სიიერპრინიანი ბარდაშა“, 19.40 — მულტფილმი.

9 ივნისი

პირველი პროგრამაზე: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქის სიჭაბუკე“ (ფ.), 10.00 — „მოამბე“, 10.30 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „სალამურას თავგადასავალი“, 11.35 — მხატვრული ფილმი „სიმალულ“, 13.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 18.00 — შვეიცარიელთა ინგლისური ენა, 18.30 — „ოთხ ათასად ზრდილობა“, 19.05 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 19.45 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 20.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 20.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 21.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 21.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 22.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 22.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 23.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 23.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 24.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 24.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 25.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 25.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 26.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 26.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 27.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 27.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 28.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 28.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 29.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 29.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 30.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 30.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 31.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 31.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 32.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 32.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 33.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 33.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 34.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 34.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 35.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 35.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 36.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 36.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 37.00 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ.), 37.30 — „ეროვნული ფერწერა“ (ფ